კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლილი ამაშუკელი

მასმედიის გავლენა პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ პროცესებზე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი, 0141, საქართველო

2023

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ხელმძღვანელი:

თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

მარინე ლომიძე

ჟურნალისტიკის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ფილოსოფიის დეპარტამენტის

პროფესორი

დათო ტაბატაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის …26.07…., …15.00.. საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანამათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ….. აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **პეტრე მამრაძე.**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა: სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება საბჭოეთის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოური ქართული ტელემედიების სახელმწიფოებრივად არასახარბიელოდ ტრანსფორმირების პროცესს. საბჭოთა კავშირის დაშლამ მის ყოფილ სივრცეზე არსებული ყველა სფეროს ტრანსფორმაცია გამოიწვია. დემოკრატიზაციის პროცესით, ტელემედიებს კომუნიკაციის დასავლურ თეორიებზე წვდომა გაუადვილდათ. დემოკრატიული მოთხოვნები კი, პოსტსაბჭოთა ტელემედიასაც წაეყენა. წარმოიშვა მრავალი კერძო ტელემედია. საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის, მასთან კომუნიკაციის მთავარი ბერკეტები სოციალიზაციის მთავარ აგენტს, ტელემედიებს გადაეცათ. თუმცა, „ვარდების რევოლუციაში“ ჩართული ტელეჟურნალისტთა დიდი ნაწილი სხვადასხვა ტელეკომპანიებში გადანაწილდა და საქმიანობა გააგრძელა. ამრიგად, პოსტაბჭოთა მედიასივრცის დიდი ნაწილი ლიბერალურად ლოიალური ძალების დაფინანსებაზე მყოფი ტელემედიების ხელთ აღმოჩნდა. დემოკრატიზაციამ ტელემედიების მრავალფეროვნება და უკონტროლო საინფორმაციო ნაკადების გაჩენაც განაპირობა. „ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეუხებლობაზე“ პედალირებამ ფსევდოლიბერალურ ტელემედიებს კარტბლანში მისცა. ფსევდოლიბერალურ და ფსევდოდემოკრატიულ პოზიციაზე გადასულმა ახლადწარმოქმნილმა ტელემედიებმა დასავლური იმიჯი მოირგეს და ფსევდოლიბერალურ მედიაკლასტერად ჩამოყალიბდნენ. „სიტყვის თავისუფლებასა და აზრის გამოხატვის“ დემოკრატიულ პრინციპებზე მოჩვენებითი გადასვლა, ტელემედიებში საზოგადოებრივ ცნობიერებასა და პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებაში გამოიხატა. „ფერადოვანი რევოლუციებისა“ და დესტაბილიზაციის ხელშეწყობით, ადგილობირივ კერძო, თუ უცხოეთიდან შემოსულ დაფინანსებაზე მყოფი ქართული ტელემედიების ლიბერალური ფრთა ხელისუფლებაში ფსევდოლიბერალური ელიტის სამსახურში ჩადგა. ამის მაგალითს, საქართველოს „ვარდების რევოლუცია“, უკრაინისა და ყირგიზეთის რევოლუციები წარმოადგენდნენ. კერძო დაფინანსებაზე გადასვლით ტელეჟურნალისტთა ლიბერალურმა კორპუსმა დაკარგა დამოუკიდებლობა და სოციალური აგენტის მისი მთავარი ფუნქცია. ვინაიდან, დემოკრატიულ სისტემაში ქართული საზოგადოების სოციალიზაციის ნაცვლად, მათ მიზნად, არჩევნებისას ლიბერალური ძალების ხელისუფლებაში

მოყვანა იქცა. რისი საფუძველიც, კერძო დაფინანსებაზე მყოფი მარავალრიცხოვანი ტელე და ინტერნეტ მედიების გაჩენა და მფლობელთა დაფინასებაზე საქმიანობამ შექმნა. რამაც ტელემედიებისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ბულინგი და ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების დემოკრატიული პრინციპების დარღვევა გამოიწვია. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების ნაცვლად, ფსევდოლიბერალური ტელემედიები ოპოზიციონერი დამფინასებლის ინტერესების დამცველებად ჩამოყალიბდნენ.

დღევანდელი ტელემედიათა ნაწილი გამოკვეთილად პროსახელისუფლებო, დიდი ნაწილი კი, ფსევდოლიბერალური ელიტის ინტერესით საქმიანობს. რაც საქართველოში დამოუკიდებელი ტელემედიის ჩამოუყალიბებლობაზე მეტყველებს. არ არსებობს რეალურად დემოკრატიულ პრინციპებზე მოქმედი მედიის კანონიც. კომუნიკაციის დასავლური თეორიების სიმრავლის მიუხედავად, დღემდე გაურკვეველია მასმედიის მოდელი, რომლითაც პოსტსაბჭოთა ტელემედიები საქმიანობენ. ვითომდა დასავლურის მიმბაძველობის მიზნით, ფსევდოლიბერალურმა ტელემედიებმა ფსევდოდასავლური სარედაქციო პოლიტიკა აირჩიეს და დასავლეთის მეინსტრიმული მედიების საინფორმაციო პლათფორმაზე გადავიდნენ.

ოპოზიციური ელიტისთვის ტელემედიების ფასი არჩევნებისას იზრდება. უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო სექტორთან ერთად, ფსევდოლიბერალური ტელემედიები ელექტორატს დამოუკიდებელი არჩევანის უფლებას აკარგვინებენ. ქართულ საეთერო სივრცეში პოლიტიკურად არასტაბილური გარემო იქმნება. ფერხდება ევროინტეგრაციის პროცესი და საზოგადოებაში აბსენტეიზმი მკვიდრდება.

საკვლევი თემის ძირითადი მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია მასმედიის გავლენის ანალიზი პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ პროცესებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება შემდეგი ამოცანები, რომლის გადაჭრას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი.

- დემოკრატიზაციის პროცესში საქართველოში წარმოქმნილი ახალი ქართული ტელემედიების საქმიანობის ანალიზი და შეფასება;
- ელექტორალურისა და სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესებზე ტელემედიების პოლიტიკური ზეგავლენისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ორიენტაციაზე ზემოქმედების მექანიზმების გამოვლენა;
- ტელემედიების ჟურნალისტური საქმიანობის ანალიზი ეფექტურობისა და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების პრინციპებით;
- სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებსა და ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე ქართული ტელემედიის ზეგავლენის განსაზღვრა;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან აღნიშნულ პროცესს;
- პოსტსაბჭოთა ქართული ტელემედიის როლის განსაზღვრა ევროინტეგრაციის პროცესის ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში; იმ ძირითადი პარამეტრების გამოვლენა და იდენტიფიცირება, რომლებსაც საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში ქართული ტელემედიები პოლიტიკურ პროცესებსა და ელექტორატის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მექანიზმებად იყენებენ;
- პოსტსაბჭოთა ფსევდოლიბერტარიანული ტელემედიების საქმიანობის განსაზღვრა ჟურნალისტური ეთიკის, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე პოლიტიკური ზემოქმედებისა და მედია ფუნქციონირების რევანშისტული პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით; რა ფაქტორებმა იმოქმედეს პოსტსაბჭოთა საქართველოს ფსევდოლიბერალური ტიპის ტელემედიების ჩამოყალიბებაზე და რა კავშირშია მათი საქმიანობა ქართული საზოგადოების ცნობიერებაზე პოლიტიკური ზემოქმედების მექანიზმებთან?
- რა მსგავსება აქვთ მათ საბჭოთა პერიოდის ტელემედიების ფუნქციონირებასთან და რა როლი ეკისრებათ მათ „ფერადი რევოლუციების" განხორციელების პროცესში?
- რა ფაქტორების გამო ვერ ახერხებენ ქართული ტელემედიები დემოკრატიული ფასეულობების ირგვლივ საზოგადოების კონსოლიდაციას? რატომ არის აუცილებელი ქართული ტელემედიების საქმიანობის ტრანსფორმაცია და რა საფრთხეს შეიცავს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის არსებული ფორმით მათი ფუნქციონირება?

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები

- რა ფაქტორებმა იმოქმედეს პოსტსაბჭოთა საქართველოს ფსევდოლიბერალური ტიპის ტელემედიების ჩამოყალიბებაზე და რა კავშირშია მათი საქმიანობა ქართული საზოგადოების ცნობიერებაზე პოლიტიკური ზემოქმედების მექანიზმებთან?
- რა მსგავსება აქვთ მათ საბჭოთა პერიოდის ტელემედიების ფუნქციონირებასთან და რა როლი ეკისრებათ მათ „ფერადი რევოლუციების" განხორციელების პროცესში?
- რა ფაქტორების გამო ვერ ახერხებენ ქართული ტელემედიები დემოკრატიული ფასეულობების ირგვლივ საზოგადოების კონსოლიდაციას?
- რატომ არის აუცილებელი ქართული ტელემედიების საქმიანობის ტრანსფორმაცია და რა საფრთხეს შეიცავს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის არსებული ფორმით მათი ფუნქციონირება?
- რისთვისაა საჭირო მასმედიის ახალი კაანონის შექმნა?

ნაშრომის ჰიპოთეზა

ევროინტეგრაციის პროცესში საზოგადოების დემოკრატიზაცია და მისი სოციალიზაცია სახელმწიფოებრივი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ამ პროცესში ტელემედიას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. მას ძალუძს ერის კონსოლიდაცია, თუმცა, იმავდროულად, პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების გზით, რევანშისტული ძალების მხარდამჭერმა ტელემედიებმა, თავიანთი მოღვაწეობით, შეიძლება, ხელი შეუწყონ საზოგადოების სტრატიფიცირებას და გახლეჩას, რაც, უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს მდგრადობაზე, აღმშენებლობასა და განვითარებაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია სოციალიზაციის ფუნქციით საზოგადოების დემოკრატიულ სისტემაში ტელემედიების ინტეგრაციის მექანიზმები და პროცესში მისი როლისა და ფუნქციის არსი.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ევროინტეგრაციის პროცესის ქართული ტელემედიების საქმიანობის შესწავლა, რომლებიც, ჩვენი მოსაზრებით, პოლიტიკური ზეგავლენისთვის კომუნიკაციის დასავლური თეორიების გამოცდილებას ეყრდნობიან. მათი ტრანსფორმაცია საბჭოთა კავშირის დაშლისა და ევროინტეგრაციის პროცესისას. გლობალისტური კლასტერით მუშაობასა და რევანშისტულ სარედაქციო პოლიტიკაზე მათი ორიენტაცია. ტელეჟურნალისტური საქმიანობის მოტივაციის, პოლიტიკის განხორციელების საშუალებების და მიღებული შედეგების კვლევა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

დასმული პრობლემის კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებულ სიახლედ უნდა განვიხილოთ არსებულ რეალობაზე დაყრდნობით პოსტსაბჭოთა ქართული მასმედიის მუშაობისთვის განკუთვნილი ახალი ტიპის კომუნიკაციის თეორიების შექმნის შესაძლებლობა. პოსტსაბჭოთა რეალობისა და დემოკრატიზაციის პროცესში წარმოქმნილი ქართული ტელემედიების ცნების ახლებურად გააზრება. კომუნიკაციის დასავლური თეორიების მაგალითზე, პირველად ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებაში წარმოებს, დემოკრატიზაციის პროცესში წარმოქმნილი ლიბერალური ქართული ტელემედიების წარმოშობისა და ფუნქციონირების კანონზომიერებათა და ფსევდოდემოკრატიულ კლასტერზე მორგებული პოსტსაბჭოთა ტელევიზიების მახასიათებლების გამოვლენა. ვლინდება, რომ საზოგადოების სოციალიზაციისა და დემოკრატიზაციის რეალურ სოციალურ აგენტებად ქართული ტელემედიები მხოლოდ პოლიტიკური ზემოქმედებისა და კერძო მფლობელთა ზეგავლენისგან გათავისუფლების შემთხვევაში ჩამოყალიბდებიან. წარმოებს ქართული ტელემედიების ფსევდოდემოკრატიული ფუნქციონირების კანონზომიერებათა და მახასიათებლების ახლებურად წარმოჩენა, პოსტსაბჭოური ტელემედიების არასახარბიელო ტრანსფორმაცია, ფსევდოდემოკრატიული კონტენტით საქმიანობის პროცესში. რაც განაპირობეს სრულიად განსაკუთრებულმა ისტორიულმა პროცესებმა და რამაც განსაზღვრა ამჟამინდელი ქართული

ტელემედიების ფუნქციონირების სპეციფიკა. ასევე გამოვლინდა ფსევდოლიბერალური ტელემედიებით გამოყენებული პოლიტიკური მანიპულაციის საშუალებები, როგორც საზოგადოებაზე პოლიტიკური ზემოქმედების მექანიზმი.

კვლევის თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია

XX ს-მდე კომუნიკაციის პრობლემა ფილოსოფიის ფარგლებში მოიაზრებოდა. თეორიული წარმოდგენები, რომლებსაც ადამიანთა ურთიერთობების საკომუნიკაციო პროცესი ემყარება, მხოლოდ, XX ს-ში ჩამოყალიბდა. მანამდე, ზეპირსიტყვიერი და წერითი ურთიერთობის ცალკეული ასპექტები პრაქტიკული აზროვნების სფეროს განეკუთვნებოდა.

სოციალურ მოვლენად ჩამოყალიბებული კომუნიკაციის განხილვისას გავეცანით **ჰაიდეგერიის ბიჰევიონიზმს,** რომელსაც ადამიანზე სასიგნალო ფუნქციების ზემოქმედების, **ედუარდ ლი ტრონდაიკისა და ჯონ ბროდუს ვატსონის კომუნიკაციის ბიჰევიონისტური შეხედულებები** მოსდევს. კომუნიკაციის პროცესის კვლევისთვის გამოვიყენეთ **ჰერბერტ ბლუმერის „სიმბოლურ ინტერაქციონიზმის" თეორია.**[1]

კომუნიკაციების თეორიების განვითარების შემდგომ ეტაპს აგრძელებს XX ს-ის 60-70-იან წლებში შექმნილი **ჰაროლდ გარფინკლერისა და ერვინ ჰოფმანის „კომუნიკაციის ეთნომეთოდოლოგიის თეორია".** შემდგომ იქმნება **ედუარდ ჰოლომის კომუნიკაციის „კულტურათაშორისი შინაარსის თეორიია"**[2][3], რომელსაც მაქს ვებერის „რაციონალისტური და ირაციონალისტური მიმართულების თეორია ემატება.

[1] Cf. Herbert Blumer, 1928, Method in Social Psychology, Ph. D. Dissertation, Department of Sociology and Anthropology, University of Chicago

[2] Hofstede G. Culture's Consequences: Comparing Values, Behaviors, Institutions and Organizations Across Nations. SAGE Publications, 1984

[3] Викулова Л. Г. Основы межкультурной коммуникации: практикум / под ред. - М.: АСТ: АСТ Москва : Восток-Запад, 2008. с- 288

XX ს-ის 70-იან წლებში შექმნილი, **დანიელ ბელის „საინფორმაციო საზოგადოების თეორია"**[4] თეორია გლობალისტური სამყაროს სამომხმარებლო და საინფორმაციო საზოგადოების მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების მეთოდებს მოიცავს.

მრავალრიცხოვანი თეორიული მოსაზრებებისა და პოზიციების შეჯერებამ საშუალება მოგვცა ქართულ ტელემედიებში ამ თეორიების გამოყენების ანალიზი მოგვეხდინა. რამაც, გამოავლინა, რომ პოსტსაბჭოური ქართული ტელემედიების ფუნქციონირება, არა დემოკრატიულმა, არამედ მსოფლიოში მიმდინარე გლობალისტურმა პროცესებმა და ახალმა ტექნოლოგიებმა განსაზღვრეს. რაც, გლობალიზაციის მიღწევით - სოციალური ინჟინერიის მეშვეობით ხორციელდება. მოცემული კვლევის ძირითად თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დემოკრატიისა და ევროინტეგრაციის ფსევდოლიბერალური ტელემედიის ფორმირების დისკურსი. აგრეთვე, პოსტსაბჭოთა საქართველოს ტელემედიების მუშაობის ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოვლენა.

ჟურნალისტიკას სუბიექტური პოზიციების ადამიანები ქმნიან. თითოეულ ჟურნალისტს, მისი ინდივიდუალური პლიტიკური შეხედულება და სიმპათიები გააჩნია. რის გამო, ჟურნალისტიკა სუბექტივიზმით ხასიათდება. ზოგადად მასმედიასა და განსაკუთრებით გლობალიზაციის პერიოდის ფსევდოლიბერალურ მასმედიასა და ტელემედიების საქამიანობას, დასავლელ და პოსტსაბჭოთა მედიამკვლევართა არაერთი ნაშრომი და თეორია მიეძღვნა.

ტელემედიის არადემოკრატიულ საქმიანობაზე, ტელევიზიაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში საუბრობდა **პიერ ბურდიე.**[5] [6] საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ტელემედიების მავნე ზეგავლენის შესახებ წერდა უოლტერ ლიპმანი, „საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულაციაში", ტელემედიებით გამოყენებულ მანიპულაციის ათ ხერხს აღწერს ნოამ ჩომკსი. მანიპულაციის მავნე ზეგავლენას აღწერს კარა-მურზაც, მის ნაშრომებში. ტელემედიის ადამიანზე ზემოქმედებას

[4] Вебер М. Хозяйственная этика мировых религий: Опыты сравнительной социологии религии. Конфуцианство и даосизм. СПб.: Владимир Даль, 2017.с- 446

[5] Пьер Бурдье, « О телевидении и журналистике",1996 блеск и нищета массмедия libcat.ru/knigi/dokumentalnye-... ст- 2

[6] Пьер Бурдье, « О телевидении и журналистике",1996 блеск и нищета массмедия libcat.ru/knigi/dokumentalnye-... ст- 3

განიხილავს **დე ფლერის და ბოლლ- როკეშის „მედიასისტემაზე დამოკიდებულების თეორია“, (ინგლ.Media-System Dependency)**[7] [8].

მ. მაკკომბისა და დ. შოუს ე.წ. Agenda-setting-ის „დღის წესრიგის დადგენის თეორიის”[9] მიხედვით ტელემედიები სურვილისამებრ ახდენენ „მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი” ინფორმაციის ფილტრაციას. ჩვენი ჰიპოთეზითაც, ამ მექანიზმს ქართული ტელემედიები, საზოგადოებაზე პოლიტიკური ზემოქმედებისთვის იყენებენ. რაც, სკანდალსა და დესტრუქციაზე ორიენტირებული ინფორმაციის პრიორიტეტში გამოიხატება.

რეციფიენტზე მიზნობრივი ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის შედეგის გაანალიზების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **ლასუელის „კომუნიკაციის ხუთკითხვიანი მოდელი”**[10]**.** ჩვენითვის მნიშვნელოვანი მეხუთე კითხვაა - „რა ეფექტით?”,. რაც ტელემედიის საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგის ანალიზია. უარყოფითი შედეგისას, ის სავარაუდოდ, კომუნიკაციის ტექნოლოგიების დახვეწასაც ითვალისწინებს. ნიშანდობლივია ლასუელის თეორია პროპაგადის შესახებ, რომელიც საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი სიმბოლოებით მართვის მექანიზმს, პოლიტიკური მითებისა და სტერეოტიპების გავრცელებას გულისხმობს. ლიბერალიზმს, იდეოლოგიის არსებობს ურაყოფს. თუმცა, ტელემედიებით ყოვედღიურად ლიბერალური იდეების პროპაგანდა მიმდინარეობს. ყურადღება გავამახვილეთ ტემედიებით პროპაგანდისამი ლასუელის დამოკიდებულებაზე. ტელემედიით განხორციელებული პროპაგანდისას, ლასუელი უგულებელყოფს ცუდისა და კარგის თვალსაზრისით მათ ფუნქციონირებას. რაც ფსევდოლიბერალური ტელემედიების მორალური და ზნეობრივი კრიტერიუმის დაუცველობაშიც შეგვიძლია დავინახოთ. ჰაროლდ ლასუელი, „მსოფლიო პოლიტიკის პროპაგანდაში“ აღნიშნავს, რომ რაც ადრე ძალადობით და დაშინებით მიიღწეოდა, ახლა არგუმენტაციითა და დამაჯერებლობით უნდა გაკეთდეს. დიქტატორისთვის

[7] Ball-Rokeach, S.J., Power, G.J., Guthrie, K.K., Waring, H.R. (1990). Value-framing abortion in the United States: an application of media system dependency theory. International Journal of Public Opinion Research, 3, 249—273

[8] Ball-Rokeach, S.J. (1985). The origins of individual media-system dependency: a sociological framework. Communication Research, 4, 485—510

McCombs, M.E., and D.L. Shaw. (1993). The Evolution of Agenda-Setting Research: Twenty-Five Years in the Marketplace of Ideas. Journal of Communication. Vol. 43, No. 2, p. 58 — 67

[9] იქვე

[10] Lasswel H.D. 1958. Politics: Who Gets What, When, How: With Postscript. New York

მისათითებელ ტექნიკას კი პროპაგანდა უწოდესო“. ასეთი არგუმენტაციის ბერკეტებს მისი ვიზუალური ეფექტის გამო დღევანდელი ფსევდოლიბერალური ტელემედიები ფლობენ. რაც ფსევდოლიბერალური ტელემედიებისგან მორალური კრიტერიუმის დაუცველობაშიც შეგვიძლია დავინახოთ. საზოგადოებაზე ზეგავლენის ვიზუალურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებს აღნიშნავს **ენდირიუ ჰეივუდიც. ნაშრომში „პოლიტიკა“, „მასმედია და პოლიტიკური ბერკეტები“.**[11] [12]მისი აზრით, „მასმედია კომუნიკაციის საშუალების გარდა, თავად პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილიცაა, რომელიც არა მარტო ასახავს ამ პროცესს, არამედ გავლენასაც ახდენს მთლიანად საზოგადოებაში ძალთა გადანაწილებაზე. ჰეივუდი იმოწმებს მაკიაველის მოსაზრებასაც იმის თაობაზე, რომ ადამიანი როგორც წესი, თვალს უფრო უჯერებს, ვიდრე ხელს. ხილულს ყველა ხედავს, რეალობის შეგრძნება კი ყველას როდი გააჩნია.“

მოცემული ნაშრომი ეყრდნობა სხვადასხვა თეორეტიკოსების მოსაზრებას, რომ ელექტორატისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ ფუნქციონირებაზე ტელემედიების მხრიდან, უარყოფითად მოქმედ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, ქართული ტელემედიით პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედება წარმოადგენს. კვლევა ფოკუსირდება გარე ძალებით დაგეგმილ, მართულ და ფსევოლიბერალური ტელემედიებით განხორციელებული „ფერადი რევოლუციების” პროვოცირებაზე. გამიზნულად დესტრუქციულ, სარედაქციო პოლიტიკაზე. ასევე, სოციალურად უპასუხისმგებლო მედიაგარემოსა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის ხელშეწყობაზე. ასევე, საბჭოეთის დაშლის შემდგომ აღმოცენებული ქართული ტელემედიის ლიბერალური პლატფორმის ჟურნალისტური საქმიანობის ეფექტურობის შეფასებაზე.

ყურადსაღებია, ქართულ ტელემედიაზე **ელისაბედ ნოელ ნოიმანის „დუმილის სპირალის თეორიის”**[13], (იგივე,შეთქმულების თეორიის) გავლენა. თეორია უმცირესობაში მყოფი განსხვავებული აზრის ოპონეტნების იზოლაციას, მარგინალიზაციას და ოსტრაკიზმის შიშით დუმილს ითვალისწინებს. ნიშანდობლივია **კურტ ლევინის „საინფორმაციო ბარიერების**

[11]ენდრიუ ჰეივუდი „პოლიტიკა“, თბილისი,

[12] ენდრიუ ჰეივუდი. „პოლიტიკა“ საქართველოს მაცნე. „მასმედია და პოლიტიკური ბერკეტები“ 2007. გვ. 303

[13] Elisabeth Noelle-Neumann, The Spiral of Silence: Public Opinion-Our Social Skin, University of Chicago , Chicago, 1984 p-352

თეორიაც”[14] [15], რომლის არსი საინფორმაციო სიახლეების არჩევითობასა და ფილტრაციაში გამოიხატება. კომუნიკაციის თეორიების განვითარება, **მარშალ მაკ-კლუენისა და აბრაამ მოლის „კომუნიკაციის კულტუროლოგიური თეორიითა”**[16] და **უმბერტო მატურანას „კონსენსუალური ურთიერთქმედების კომუნიკაციის თეორიით”**[17] [18]გაგრძელდა.

კომუნიკაციის თეორიების განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის **ჰერბერტ მალეცკეს “კომუნიკაციის ფაქტორულ მოდელს”**[19]**.** კომუნიკაციის პროცესი მან პირველმა პირველმა შეავსო „ზეწოლისა” და „იძულების” ელემენტებით. საკომუნიკაციო არხის (ტელემედიის) მხრიდან „ზეწოლა”, მალეცკემ მოდელირებული ინფორმაციით რეციპიენტის ცნობიერებასა და პოლიტიკურ სიმპათიებზე ზემოქმედებით ახსნა. მოვლენების მოდელირების არაერთ ფაქტს, ქართული ტელემედიების მაყურებელიც იცნობს. „ზეწოლით“, კომუნიკატორის მიერ გავცელებული ინფორმაციით ტელეჟურნალისტი მაყურებლისგან სასურველი შედეგის მიღებას ცდილობს. მალეცკეს მოდელი, გარკვეულწილად, ჰაროლდ ლასულეის კომუნიკაციის ტრადიციულ ელემენტებსაც მოიცავს.

სხვა თეორიებისგან განსხვავებით, მალეცკე, ყურადღებას გავრცელებული ინფორმაციისადმი რეციპიენტის ნდობაზე, ან უნდობლობაზე, ასევე, არხის პასუხისმგებლობაზე, პრესტიჟულობაზე, იმიჯსა და ღირებულებითი სისტემისადმი რეციპიენტის მსოფლმხედველობრივ დამოკიდებულებაზე ამახვილებს. მალეცკეს მიხედვით, მსოფლმხედველობისთვის შეუსაბამო ინფორმაციას რეციპიენტი არ იღებს. მართლაც, ლიბერტარიანული ქართული ტელეარხებით გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოების კონსერვატიული ნაწილისთვის მიუღებელია. მალეცკე ხაზს უსვამს მიღებული ინფორმაციის სოციალურ კონტექსტს. ასევე, რეალურ დროსთან მის მიმართებასა და საზოგადოებრივი ჯგუფისადმი რეციპიენტის კუთვნილებას. (სავარაუდოდ, საზოგადოებრივ მორალს).

---

[14]Lewin, Kurt. "Forces behind food habits and methods of change". Bulletin of the National Research Council. p 35–65

[15] Lewin, Kurt (1947). "Frontiers in group dynamics". Human Relations. 1 p 143–153. doi:10.1177/001872674700100201

[16] Маклюэн Маршалл. Понимание медиа: внешние расширения человека. - М., 2000

[17] Maturana, Humberto R./Varela, Francisco J. (1980): Autopoiesis and Cognition. The Realization of the Living. Dordrecht: Reidel, p. 13.

[18] Maturana, Humberto & Varela, Francisco ([1st edition 1973] 1980). Autopoiesis and Cognition: the Realization of the Living. Robert S. Cohen and Marx W. Wartofsky (Eds.), Boston Studies in the Philosophy of Science 42.

[19] https://studopedia.info/2-128526.html Схема Г.Малецке

XX ს-ის იუნესკოს 1997 წლის მონაცემებით, თანამედროვე კულტურაზე მასმედიის გავლენისადმი მიძღვნილი გამოცემების 60 %-ი აშშ-სა და დიდ ბრიტანეთზე მოდიოდა. რაც იმაზე მეტყველებს რომ, სოციალისტური ბანაკისა და პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში გლობალისტური პოლიტიკის რეალიზაციაზე ზრუნვას, დასავლურ სამყაროში, საფუძველი წინა საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა.

მასობრივი საზოგადოების იდეები კვლევებში XX ს-ის 30-40 იან წლების ევროპაში, „პროპაგანდის თეორიების“ სახით მასმედიისადმი ინტერესი გამოვლინდა. ამ დროიდან, მეცნიერები პროპაგანდის არსისა და შინაარსის შესწავლას იწყებენ. ევროინრტეგრაციის პროცესმა კი, პროპაგადის განსახორციელებელი ტექნოლოგიები ლიბერალურ კონტენტზე გადასული ახალი ტელემედიებს ხელთ აღმოაჩინა.

კომუნიკაციის დასავლურ თეორიებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე განვიხილეთ ქართული ფსევდოლბერალური ელიტების მხარდამჭერი ტელემედიების ფუნქციონირება. აქცენტი იმ თეორიებზე გავაკეთეთ, რომელთა გამოცდილებასაც ქართული ტელემედიები იყენებენ. მეტ პოზიციონირებას ამერიკელი პოლიტოლოგის და მასობრივი კომუნიკაციის თეორიის ფუძემდებლის ჰაროლდ ლასუელის კომუნიკაციის თეორიასა და კვლევებზე ვახდენთ, რომლითაც, სავარაუდოდ, ლიბერალური ქართული ტელემედიები ხელმძღვანელობენ. ვპოზიციონირებთ „კომუნიკაციის ხუთკითხვიან მოდელზე”, რომელსაც ქართული ტელემედიები პოლიტიკური ზემოქმედებისთვის იყენებენ. პირველი კითხვა - „ვინ?” გულისხმობს კომუნიკატორს (ლიბერალურ ტელემედიას.). მეორე, „რა ინფორმაციას?” - აუდიტორიისთვის მიწოდებული ინფორმაციის შინაარსია. მესამე კითხვა - „ვის ეკუთვნის, ვისკენაა მიმართული ინფორმაცია?” - მიზნობრივი აუდიტორიის ანალიზს გულისხმობს. რითაც, ლიბერალური არხების მედიაჟურნალისტები არალიბერალურ ელექტორატზე ზემოქმედებენ. ამ პრაქტიკას იყენებდა “რუსთავი 2”-ის ტელევიზია „ვარდების რევოლუციის” წინ. ასე ფუნქციონირებენ ლიბერალური ტელევიზიები: „TV პირველი”, „ფორტუნა”, „მთავარი”, „ტვ კავკასია”, ყოფილი „რუსთავი 2” და ა.შ. მეოთხე კითხვა - „რა არხებით?” - მიწოდებული ინფორმაციის ანალიზს წარმოადგენს. ამ ანალიზს ფსევდოლიბერალური ტელემედიები სარედაქციო არსენალში არსებული ტელედებატების, სოციალური ქსელების, საინფორმაციო გამოშვებების და ა.შ. ფორმატით ახორციელებენ.

კომუნიკაციის პროცესს, ლასუელი კიდევ უფრო ხვეწს თავის განვრცობილ მოდელში: **„ვინ, რა მიზნებით, რა სიტუაციაში, როგორი სტრატეგიის გამოყენებით, რომელ აუდიტორიასთან აღწევს დასახულ მიზანს და შედეგს“.**[20] რასაც აუდიტორიისთვის მისაწოდებელ საკვანძო ინფორმაციაზე და კომუნიკაციის არხზე აგებს. ასეთ არხებად, სავარაუდოდ, ქართული ლიბერალური ტელემედიები ჩამოყალიბდნენ. ნაშრომში, „ვინ აღწევს, რას, როდის, როგორ?" ლასუელმა კიდევ უფრო გააფართოვა პროპაგანდის სფეროში არსებული წარმოდგენები და მიზნები.

საბჭოთა კავშირის დაშლით დაწყებული გეოპოლიტიკურ პროცესს კომუნიკაციის სათანადო პროპაგანდისტული მანქანაც დასჭირდა. რამაც სავარაუდოდ, ლასუელის კომუნიკაციის პროპაგანდისტული მოდელი ქართული მედია პროპაგანდის ამოსავალ წერტილად აქცია.

40-იანი წლებიდან, კომუნიკოლოგიის სფეროში, რეციპიენტთან უკუკავშირის ორისა და N რაოდენობის საკომუნიკაციო პროცესის კიბერნეტიკული მოდელი შემოდის. მასობრივ აუდიტორიაზე გათვლილი პიარ-კამპანიების სხვადასხვა სახეობების თეორიასა და პრაქტიკაში გამოსაყენებლად ლასუელის „ხუთკითხვიანი მოდელი" კვლავ აქტუალური ხდება. ომის შემდგომ, ეს მოდელი, დასავლეთში მასობრივი კომუნიკაციის სასწავლო კურსების შექმნისა და შესწავლის მთავარ სქემადაც იქცა. რაც გულისხმობს: ა.) კომუნიკატორს - მასობრივი კომუნიკაციის ორგანიზატორისა და მაკონტროლებლის ფუნქციას; 2.) ინფორმაციას - კონტენტ-ანალიზს; 3.) ტექნიკურ საშუალებებს; 4.) აუდიტორიას - სოციალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებასა და მის რაოდენობრივ აღწერას; 5.) შედეგს - აუდიტორიის ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების გაანალიზებით.

XX საუკუნის დასაწყისში ლასუელის მიერ წამოყენებული, „საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის" შექმნის იდეა იმ ეტაპზე, უკვე „ახალი მსოფლიო წესრიგის" შექმნის ჩანასახს წარმოადგენდა. „ურთიერთ თმენის საკითხებსა და ფუნდამენტურ ღირებულებებზე მსჯელობის ღია ფორუმის არსებობის" მასში მოყვანილი პარალელი კი „ადამიანის უფლებების დეკლარაციაში" შეიძლება დავინახოთ. რაც საბჭოთა კავშირის არსებობის დასარულს,

[20]Lasswel H.D. 1936. Politics: Who Gets What, When, How: With Postscript. New York;

ტელემედიების საშუალებით, „ლიბერალური ღირებულებების" სახით შემოსული „გლასნოსტის და პერესტროიკის" მთავარ პოლიტიკურ თემადაც იქცა.

დემოკრატიული ქვეყნების სამეცნიერო-კვლევით ცენტრებშიც, სოციალიზაციაში ტელემედიის მნიშვნელობას მეცნიერები წლების მანძილზე იკვლევდნენ. ამისთვის, დასავლელი მეცნიერების მიერ საზოგადოებრივი აზრის მართვისა და კომუნიკაციის მრავალი თეორია შეიქმნა. ამ თეორიებს, სავარაუდოდ, ფსევდოლიბერალური ქართული ტელემედიების სტაფიც აზიარეს. რის შემდეგაც, ტელემედიების ხელმძღვანელები და პროდიუსერები ამ გამოცდილებას საზოგადოების სოციალიზაციისას იყენებენ.

ლასუელის „კომუნიკაციის ხუთკითხვიანი მოდელი"[21] [22] თვისებრივი კვლევის მეთოდების, ფოკუს ჯგუფებში და ფასილიტატორის მუშაობის ტექნოლოგიებშიც გამოიყენება. მას ქართულ ტელემედიებში გამართულ პოლიტიკურ თუ სხვა დებატებშიც იყენებენ, სადაც, ტელესივრცეში მიზნობრივად გათვლილ აუდიტორიაზე კეთდება აქცენტი. ლასუელის კვლევის შემდგომი მოდელი იხვეწება და ვრცელდება კითხვებით: „ვინ, რა მიზნებით, რა სიტუაციაში, როგორი სტრატეგიის გამოყენებით, რომელ აუდიტორიასთან აღწევს დასახულ მიზანს და როგორ შედეგს იღებს.?"

ლასუელის სამეცნიერო კვლევები და მოღვაწეობა დღეისთვის წარმოადგენს კლასიკურ მემკვიდრეობას სოციოლოგიისა და მასობრივი კომუნიკაციების ფსიქოლოგიისთვის, ფსიქოლოგიის პროპაგანდაში მომუშავე სპეციალისტებისთვის. საქართველოს ტელემედიებში ლასუელის თეორიის გამოყენება აჩენს ვარაუდს, რომ ქართული სახელმწიფო ორიენტაციის ლიბერალურ რელსებზე გადასაყვანად ქართული ტელემედიები ლასუელისა და დასავლელი მეცნიერების პროპაგანდის თეორიებით ხელმძღვანელობენ. პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებად პროპაგანდის გამოყენებას მსოფლიო უხსოვარი დროიდან მისდევს. ევროინტეგრაციის პროცესში, საზოგადოებაზე ზემოქმედების მხრივ, პროპაგანდისტული ბრძოლით დღეს ტელემედია ლიდერობს.

---

[21] Lasswel, H.D. "Psychopathology and politics". New York. (1930; reprinted 1986) Lasswell H.D. Power and Personality. N.Y., 1948. P. 120

[22] Lasswell, H. (1958) Politics: Who Gets What, When, How. New York: Meridian

პოლიტიკურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების პოლიტიკა პოსტსაბჭოურმა ქართულმა ტელემედიებმა საბჭოეთის დაშლისა და ევროინტეგრაციის პერიოდიდან აირჩიეს. სხვა დემოკრატიული ქვეყნებისგან განსხვავებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის მთავარი პოზიცია საქართველოში გლობალისტური კლასტერის ფსევდოლიბერალურმა ქართულმა ტელემედიებმა მიისაკუთრეს. ანტიეროვნული და ფსევდოდემოკრატიული მიმართულების გამო, ფსევდოლიბერალური ტელემედიებით საზოგადოების სოციალიზაციის შეუმდგარი პროცესი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ქართული ტელემედიების კომუნიკაციის ანალიზისთვის მიმოვიხილეთ კომუნიკაციის ათობით თეორია. მათში გამოვყავით ისინი, რომლებსაც ქართული ტელემედიები, ჩვენი ვერსიით, პოლიტიკური ზემოქმედებისთვის იყენებენ.

XX ს-ის 20-იან წლებში, მასობრივი კომუნიკაციის სამეცნიერო კვლევებს გერმანელი სოციოლოგი - მაქს ვებერი აგრძელებს და კომუნიკაციის თეორიებში რაციონალისტურ და ირაციონალისტურ მიმართულებას აყალიბებს. „კომუნიკაციის რაციონალისტური თეორია" XX ს-ის 70-იან წლებში, ამერიკელი სოციოლოგის - **დანიელ ბელის „საინფორმაციო საზოგადოების თეორიაში"** [23] გამოიხატა. რის თანახმადაც, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები დამოკიდებულია არა ინფორმაციის ცვლილებებზე, არამედ, ინფორმაციის მიწოდების საშუალებებსა და მისი გამოყენების შესაძლებლობებზე.

XX ს-ის 40-50 - იან წლებში, ამერიკელი სოციოლოგი, **ალფრედ შულცი საფუძველს უყრის „ფენომენოლოგიური მიმართულების ირაციონალისტური მიდგომის თეორიას".** რომელშიც, არაენობრივი ფაქტორებით განპირობებული სოციალიზაციისა და კომუნიკაციის პრობლემებს ეხება.

ლაზარსფელდის, ბ.ბერელსონისა და გ. გოდეს „ორმხრივი კომუნიკაციის თეორია" [24] „აზრის ლიდერების" მიერ, კომუნიკაციის პირველ საფეხურზე მიწოდებული ინფორმაციის

[23] Kaufman, Michael T.. Daniel Bell, Ardent Appraiser of Politics, Economics and Culture, Dies at 91, The New York Times

[24] Lazarsfeld, Paul F., Bernard Berelson, and Hazel Gaudet. The People's Choice: How the Voter Makes up his Mind in a Presidential Campaign. New York: Columbia University Press, 1944

შემდგომ ნაკლებად აქტიურ მასებამდე გადაცემას გულისხმობს. „აზრის ლიდერებს", ავტორები საზოგადოებასა და მასმედიას შორის შემაკავშირებელ რგოლად მოიაზრებენ.

კომუნიკაციის ჩამოთვლილი თეორიების სიმრავლე მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის მნიშვნელობას დასავლურ სამეცნიერო წრეებსა და კვლევებში სერიოზული ადგილი ეთმობოდა. რიგი კვლევების ტრანსნაციონალური ფონდებით დაფინანსება (მაგ.: ჰ. ლასუელის კვლევის როკფელერის ფონდით დაფინასნება) კომუნიკაციაში ტელემედიების უპირატესობის განსაზღვრა გლობალისტური ელიტების სწორ გათვლად შეიძლება მივიჩნიოთ. ლიბერალური ტელემედიების მუშაობაში არც ცალკეული დასავლური თეორიების სინთეზი და ზემოქმედების მექანიზმებად მათი გამოყენება უნდა გამოვრიცხოთ.

კვლევის მეთოდები

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, ფესვდოლიბერალური ტელემედიების ტელეგადაცემის ანალიზი.

(Case Study), რაც გულისხმობს კონკრეტული პროლიბერალი ტელემედიის გადაცემის რეალური ფაქტების ანალიზს. ასევე, სხვადასხვა თეორიებზე დაყრნობით ფსევდოლიბერალ ლეტემედიებში ამ თეორიების გამოყენებას.

კვლევაში გამოყენებულია ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდი. ნაშრომი ეყრდნობა სხვადასხვა მოვლენის ანალიზისადმი სისტემურ, კრიტიკულ და კომპლექსურ მიდგომას. გამოყენებულ იქნა შედარების, სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდები. საკითხები გაანალიზებულია ისტორიულ ჭრილში, ნაშრომი ეყრდნობა ემპირიული და თეორიული კვლევის საფუძვლებს, რომლის მიზანსაც, სათანადო დასკვნების გაკეთება წარმოადგენს.

თემის დამუშავების მდგომარეობა

პოტსაბჭოთა ფსევდოლიბერალური ტელემედიების ანაზლიზისას მნიშვნელოვანია დისციპლინათაშორისი კვლევის მეთოდების გამოყენება. კომუნიკაციის პრობლემებს იხილავდნენ ჯ. უოტსონი, მ. ჰაიდეგერი, ჰ. ლასუელი. დ. ბელი, მ. ვებერი, ჰ. გარფინკლერი, ე.

ჰოფმანი, ს. ჰერმანი, ე. ჰოლომი, ფ. ლაზარსფედლი, ბ. ბერელსონი, გ. გოდე, ო. ლიპმანი, ჯ. დიუი, ჰ.შილერი, ნ. ჰოლმსკი და ა.შ. მათ შრომებს, დღესაც, შენარჩუნებული აქვთ თანამედროვე პოლიტიკური კვლევისთვის გამოსადეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური და პოლიტიკურ-პრაქტიკული ღირებულება და აქტუალურობა. გამოყენებულია ტელემედიის დასავლელი მკვლევარების მიერ, ფსევდოლიბერალური ტელემედიების საქმიანობის მანკიერ მხარეებზე გამოთქმული პიერ ბურდიესა და უოლტერ ლიპმანის შეფასებებიც. სამუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“ და „მასობრივი კომუნიკაციის ფსიქოლოგია“. ასევე, პატრიკ ბიუკენენის დასავლეთის სიკვდილი“. ენდრიუ ჰეივუდის პოზიცია ტელემედიაზე, ნაშრომიდან „პოლიტიკა“.

პოსტსაბჭოთა საქართველოს ტელემედიების ფუნქციონირების საკითხებს იკვლევდნენ ქართველი მეცნიერებიც. ამ მხრივ გამოირჩევა მ. ადამაშვილის სადოქტორო ნაშრომი, “მედიის როლი პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში საქართველო 2003-2013”, თბილისი 2016 წელი; „ბრძოლა საჯარო სივრცისთვის” ნ. გვიანიშვილი, ნავარდ მანასიანი; უ. კახიძე „მასმედია, როგორც სოციალური ინსტიტუტი”, თბილისი 2018 წელი; ლ. კუტუბიძის „2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტები”. თბილისი 2009, ნ. შოშიტაიშვილი, დისერტაცია, თემაზე „ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოსტრევოლუციურ (2003-2009) საქართველოში”, თბილისი, 2010 წ.

პოსტსაბჭოთა სივრცეზე ინდენტური პროცესების მიმდინარეობის გამო, ნაშრომში გამოყენებულია, ტელემედიებით საზოგადოების მანიპულაციის, ფერადოვანი რევოლუციების მოწყობისა და ტელემედიით გამოყენებულ ტექნოლოგიებზე არსებული ყოფილი საბჭოეთის მეცნიერთა კვლევებიც. დიოგტიარევას “2004 წლის ჟურნალისტური რევოლუცია“ და მისი გავლენა უკრაინის 2011 წლის სახელისუფლებო პროცესებზე“, დზიაშლონკის და ბესპალოვის „პოლიტიკური ჟურნალისტიკა“, კონიუხოვას „მასმედიის გავლენა საინფორმაციო საზოგადოების მასობრივ ცნობიერებაზე“, კარა-მურზას „ცნობიერებით მანიპულაცია“ და ა.შ. ნაშრომში ასევე გამოყენებულია საინფორმაციო-ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი პორტალები. ასევე, პერიოდული გამოცემების ინტერნეტვერსიები.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს განპირობებს მისი დისციპლინათშორისი ხასიათი, რომელიც დაფუძნებულია ფსევდოლიბერალური ქართული ტელემედიების მიერ, ჰ. ლასუელის,

ლაზარსფელდის, ბერელსონის და გოდეს, დ. ბელის, ჰ. მალეცკეს, კ.ლევინის, ნ. ნოიმანისა და კომუნიკაციის დასავლელი მკვლევრების სხვა თეორიული კონცეფციების გამოყენებაზე.

აღნიშნული მეთოდოლოგიური საფუძველი საშუალებას იძლევა სოციალიზაციისა და პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების ფენომენი, როგორიც პოსტსაბჭოური ლიბერალური ტელემედიების საქმიანობა, სამეცნიერო ჭრილში ყოველმხრივ იქნას განხილული.

კვლევით გამოავლინა რომ, საზოგადოების ცნობიერებაზე ტელემედიით ზემოქმედების შესაძლებლობა დროულად განსაზღვრეს და გამოიყენეს გლობალისტურმა ძალებმა, რაც თავიანთი პოლიტიკის რეალიზაციისთვის ტელემედიის მასობრივ საზოგადოებასთან კომუნიკაციის საჭიროებაში დაინახეს. მრავალრიცხოვანი მოსაზრებებისა და თეორიების დისკურსმა და კომუნიკაციის თეორიებმა გლობალისტური კლასტერის ქართული ტელემედიების საქმიანობის შესწავლის შესაძლებლობა მოგვცა. კვლევაში გამოყენებული ჰაროლდ ლასუელის „ხუთკითხვიანი მოდელი“ და პროპაგანდის თეორიები“ დაგვეხმარა იმის გაანალიზებაში, რომ ფსევდოლიბერალური ტელემედიები რეციფიენტზე ლასუელის თეორიით საქმიანობენ. რის მიზანსაც, რეციფიენტზე ზემოქმედებისა და სასურველი პოლიტიკური შედეგის მისაღება წარმოადგენს. განვიხილეთ ლაზარსფელდის, ბერელსონისა და გოდეს „ორმხრივი კომუნიკაციის თეორია“, რაც ტელემედიის მიერ შერჩევითი აუდიტორიით საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას გულისხმობს. ნაშრომში „ტელესტუდია და კულისებს მიღმა სამყაროს” ქვეთავ „უხილავი ცენზურაში” ტელევიზიებში არსებულ ცენზურაზე საუბრობს და მას ტელევიზიების დამოუკიდებლობის დაკარგვას უკავშირებს მკვლევარი პიერ ბურდიეც. საინფორმაციო სიაახლეებიის ცენზურასა და ინფორმაციის ფილტარციას ეხება კურტ ლევინი „საინფორმაციო ბარიერების თეორია“. ჰერბრტ მალეცკეს „კომუნიკაციის ფაქტორული მოდელით“, მკვლევარმა საინფორმაციო ველი „ზეწოლის“ და „იძულების ელემენტებით შეავსო. საინფორმაციო საზოგადოებაზე ტელემედიის უარყოფით გავლენას აღნიშავს უტერ ლიპმანი, მის ცნობილ წიგნში „ცნობიერებით მანიპულაცია“.

ხელისუფლებებში ფსევდოლიბერალური ელიტის მოყვანაზე ორიენტაციამ და საზოგადოებაზე პოტიკურმა ზემოქმედებამ დემოკრატიის სახელით დამკვიდრებულ ტელემედიას დააკარგვინა საზოგადოებასთან კომუნიკატორის ფუნქცია. ვინაიდან, ტელემედიები უცხოურ, თუ კონკრეტულ ადგილობრივ ფსევდოლიბერალურელიტის

ინტერესით საზოგადოებაზე პოლიტიკურ ზემოქმედებას ახდენს. რისი მიზეზიც შეიძლება გახდეს:

- დამფინანსებლის ინტერესით ტელემედიის ისეთი საქმიანობა, როდესაც ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა საზოგადოებრივ აზრზე პოლიტიკური ზემოქმედებისთვის გამოიყენება;
- ტელემედიის სტაფი დაკომპლექტებულია არაპროფესიონალი და პოლიტიკურად ანგაჟირებული კადრებით;
- ინფორმაციის გავრეცელებისას, ტელემედია წარმოადგენს მხარეს და რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ელიტის ინტერესებს ატარებს;
- ტელემედიით, საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად დამკვეთ-დამფინასებლის მითითებით ყალბი და გადაუმოწმებელი ინფრომაცია ვრცელდება;
- დეკლარირებული პლურალიზმისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების მიუხედავად, ტელემედია განსხავევბული აზრის მარგინალიზაციას და ოპონენტის შეურაცხყოფით, მის უფლებებს არღვევს.

ნაშრომის თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა

თეორიული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ კვლევას მისი მოკრძალებული წვილი შეაქვს ახალგაზრდა, განვითარებადი დემოკრატიის ტელემედიების საშუალებით განხორციელებული საზოგადოების სოციალიზაციისა და ტელემედიებით ევროინტეგრაციის პროცესის კვლევაში. ასევე, ტელემედიებით გავრცელებული ცალმხრივი ინფორმაციის პოლიტიკური ზემოქმდებით საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის განსაზღვრაში. **პრაქტიკული მნიშვნელობის** თვალსაზრისით არსებითია ჩვენ მიერ საკითხის შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც საშუალებას იძლევა გააზრებულ იქნას ქართული ტელემედიების როლი საზოგადოების ინტეგრაციისა და შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესში. წინამდებარე ნაშრომის საფუძველზე შესაძლებელია ჩატარდეს ხსენებული პრობლემის უფრო სიღრმისეული და სერიოზული შესწავლა. მომზადდეს სასწავლო და სპეციალური კურსები. დისერტაციაში არსებული მასალებისა და განზოგადებების საფუძველზე შეივსოს ქართულ პოლიტიკურ მეცნიერულ

ლიტერატურაში ტელემედიასა და საზოგადოების ინტეგრაციის სფეროში არსებული სიცარიელე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავისაა და დასკვნისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები. სულ 156 გვერდი.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

I თავი. მასმედიის პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო. 1.1.მასობრივი ინფორმაციის როლი საზოგადოების განვითარებაში . 1.2. მასობრივი კომუნიკაციის თეორიული საფუძვლები. 1.3. მასობრივი კომუნიკაციის პოლიტიკური კონცეპტები

პირველ თავში - „მასმედიის პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის თეორიულ-მეთოდოლოგიურიჩარჩო“, განხილულია ახლადწარმოქმნილი და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული ტელემედიის წინაშე არსებული დემოკრატიული გამოწვევები. დემოკრატიულ დასავლეთში კომუნიკაციის სხვადასხვა თეორიების წარმოშობის პროცესი. რაც ახალგაზრდა დემოკრატიის ქართული ტელემედიების წინაშეც ანალოგიური თეორიების შექმნის აუცილებლობას აყენებს. განიხილება დემოკრატიული საზოგადოების ევროინტეგრაციისთვის აუცილებელი საკითხი. რაშიც, წამყვან, პოზიციას გლობალისტური მსოფლიო ელიტა და მეინსტრიმულო ტელემედიები ინარჩუნებენ.

განსაზღვრულია საზოგადოების სოციალიზაციის უმთავრესი აგენტის, მასმედიის როლი. „საინფორმაციო და სამომხმარებლო საზოგადოებაზე“ ქართული ტელემედიების ზეგავლენა; საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი ფუნქციების ხაზგასმულად პოლიტიკური ზეგავლენის მექანიზმებით ჩანაცვლება.

წარმოდგენილია კომუნიკაციაზე თეორიული წარმოდგენების ჩამოყალიბების და თანამედროვე პოლიტოლოგიაში მისი ადგილის დამკვიდრების პროცესი და ლიბერალური ქართული ტელემედიებით დასავლური თეორიების გამოყენების მაგალითები. საუბარია მასობრივი კომუნიკაციის პოლიტიკურ კონცეპტებზე და თეორიებზე, რომლებსაც ლიბერალური ტელემედიები საზოგადოებრივი ცნობიერების პოლიტიკური კონსტრუირებისთვის იყენებენ. დემოკრატიული ინტეგრაციის საპირისპირო, ანტისახელმწიფოებრივ სარედაქციო პოლიტიკაზე, დღის წესრიგის დადგენით ელექტორატზე პოლიტიკური ზემოქმედების ტექნოლოგიებზე და ინფორმაციის ფილტრაციასა და პოლიტიკურ მანიპულაციაზე.

ნაშრომის აღნიშნულ თავში, შესწავლილი და გაანალიზებულია თეორიულ-მეთოდოლიური საფუძვლები, რომელიც ახალგაზრდა დემოკრატიის საქართველოს ახალ ტელემედიებში შეიქმნა. თავში კომუნიკაციის დასსვლური თეორიების მაგალითზე, განხილულია იმ თეორიების კონცეფციები, რომლითაც ფსევდოლიბერალური ქართული ტელემედიები საქმიანობენ. განვითარებული დემოკრატიული სისტემების ჟურნალისტურ საქმიანობასაც ბევრი ნაკლი რომ ახლავს, ამაზე სხვადასხვა დროს შექმნილი თეორიებიც მეტყველებს. დღეს უკვე ნათელი ხდება, რომ ნაკლოვანებებით დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ფსევდოლიბერალური ტელემედიები უფრო ხასიათდებიან, ვიდრე ავტორიტარულად აღიარებული ტელევიზიები. მედიასისტემაში წარმოქმნილ უმთავრეს პრობლებას ტელემედიების კერძო დაფინანსებაზე საქმიანობა და სარედაქციო პოლიტიკის დამფინასებლის ინტერესით წარმართვა ქმნის.

„ახალი მსოფლიო წერიგის“ დასავლურ ტენდენციას პოსტაბჭოთა სივრცეზე დასავლური პოლიტიკური კურსის გატარება მოჰყვა. სოციალური ინჟინერინგისა და ტექნოლოგიებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სოციალიზაციის მთავარ აგენტი, ტელემედია, გლობალისტური სამყაროს პოლიტიკის მთავარ რეალიზატორად იქცა. სამხედრო გადატრიალების გარეშე ხელისუფლებების ცვლილებების მთავარი მექანიზმებიც ტელემდიების ხელში აღმოჩნდა. საბჭოეთის დაშლის შემდგომ კომუნიკაციის დასავლურ თეორიებზე წვდომამ საზოგადოებრივ აზრზე ტელემედიების ზემოქმედების არაერთი მექანიზმი გამოავლინა. წინამდებარე თავში საუბარია, საზოგადოების პოლიტიკურ არჩევანზე ზემოქმედების მიზნით, ტელემედიებით ამ თეორიებისა და მექანიზმების გამოყენებაზე.

პოსტსაბჭოთა საქართველოს ლიბერალური ტელემედიების ფუნქციონირების დისკურსმა და კომუნიკაციის დასავლური თეორიების ანალიზმა გამოავლინა, რომ საქართველოს ლიბერალური კლასტერის ტელემედია დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკას არ აწარმოებს. სიტყვის თავისუფლების დემოკრატიული პრინციპის თანახმად, ევროინტეგრაციის საქართველოში გაუქმდა ტელემედიის ცენზურა. თუმცა, მის ნაცვლად, მედია სივრცეში კერძო კაპიტალით დაფინანსებული და რევანშისტულ-პარტიული ტელემედიები ჩამოყალიბდნენ.

ტელემედიას საზოგადოებრივი აზრის სამართავად, მისი შექმნის დღიდან იყენებენ. პოსტსაბჭოთა სივრცეზე დასავლური პოლიტიკური კურსის გასატარებლად კი, მან კიდევ უფრო

მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ტელემედიას, ამაში, კომუნიკაციის სფეროში შექმნილი მარავარიცხოვანი დასავლური კვლევები და თეორიებიც ეხმარებათ. მრავალრიცხოვანი თეორიული მოსაზრებებისა და პოზიციების შეჯერებამ საშუალება მოგვცა ქართულ ტელემედიებში ამ თეორიების გამოყენების ანალიზი მოგვეხდინა. რამაც, გამოავლინა, რომ პოსტსაბჭოური ქართული ტელემედიების ფუნქციონირება, არა დემოკრატიულმა, არამედ მსოფლიოში მიმდინარე გლობალისტურმა პროცესებმა და ახალმა ტექნოლოგიებმა განსაზღვრეს. რაც, გლობალიზაციის მიღწევით - სოციალური ინჟინერიის მეშვეობით ხორციელდება. მოცემული კვლევის ძირითად თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დემოკრატიისა და ევროინტეგრაციის ქართული ლიბერალური ტელემედიის ფორმირების დისკურსი. აგრეთვე, პოსტსაბჭოთა საქართველოს ტელემედიების მუშაობის ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოვლენა. საქართველოში მასმედისა და ჟურნალისტიკის ისტორიის დისკურსმა, გამოავლინა, რომ საბჭოთა კავშირის შექმნამდეც და მის შემდგომაც, ავტორიტარულად კვალიფიცირებული საბჭოური ტელემედია, იდეოლოგიზირების მიუხედავად საზოგადოებრივ და სახელწმფიოებრივ ინტერესზე ბევრად უფრო იყო ორიენტირებული, ვიდრე, დემოკრატიული სისტემის ფსევდოლიბერალური ქართული ტელემედიები. კომუნიკაციის დასავლური თეორიების დისკურსმა გამოავლინა, რომ საზოგადოებრივი აზრის სამართავად, კომუნიკაციის თეორიებზე მუშაობა დასავლეთში წლების მანძილზე მიმდინარეობას. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მესვეურნი, მას პოსტაბჭოთა სივრცის საზოგადოებრივი ცნობიერების სამართავად და ლოიალური ელიტების ხელისუფლებებში მოსაყვანად იყენებენ. რაშიც, უდიდეს დახმარებას ფსევდოლიბერალური ტელემედიები უწევენ.

მასობრივი პოლიტიკური კომუნიკაციის მზარდი როლი მის შედეგებზე მრავალრიცხოვან დისკურსებს აჩენს. ნაწილის აზრით, ტელემედიის საინფორმაციო საშუალებები ობიექტურად ასახავენ მოვლენებს და პოლიტიკურ და იდეოლოგიური სუბიექტივიზმის ელემენტებს არ შეიცავენ. ოპონენტები პოლიტიკური კომუნიკაციისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევიან. პოლიტიკურ კომუნიკაციას კი, მოგებასა და სოციალური კონტროლის მოპოვებაზე მიმართულ პროცესად განიხილავენ.

მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური ხედვისა, საზოგადოების დიდი ნაწილი ტელემედიების ყალბი საინფორმაციო პოლიტიკის ტყვე ხდება. წყდება ობიექტურ ინფორმაციას. რითიც, ხშირად, არასწორ პოლიტიკურ არჩევანს აკეთებს.

ლიბერალური ტელემედიებით ელექტორატზე პოლიტიკურ ზემოქმედებას, საარჩევნო პერიოდში ხელსაყრელად იყენებენ გარე ძალები და ოპოზიციური ელიტა. გარედან, თუ ქვეყნის შიგნიდან დაფინასებული ტელემდიები, მოვლენების კონსტრუირებას ახდენენ და ელექტორატი შეცდომაში შეჰყავთ.

თავი II. მედიის როლი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში. 2.1. პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბების თავისებურებები საქართველოში. 2.2. ჟურნალისტური გამოცდილება და თავისუფალი მედია საქართველოში. 2.3. სამოქალაქო საზოგადოება და ტელემედია.

მეორე თავი -„მედიის როლი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში“, ეხება საზოგადოების დემოკრატიზაციისა და გლობალურ სივრცეში მის ადაპტირებაში განკუთვნილ მასმედიის როლს. აღწერილია წარსული გამოცდილება და პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესს საქართველოში. ქართული ჟურნალისტიკის ჩანასახები და ობიექტური ჟურნალისტური საქმიანობა. საუბარია საბჭოთა კავშირის შექმნამდე არსებულ ქართულ ჟურნალისტურ გამოცდილებასა და თავისუფალი მედიის პრობლემაზე დღევანდელ საქართველოში. ამ თავში, საუბარია პოლიტიკური ტრანსფორმაციის პირობებში საზოგადოებასთან სოციალიზაციის მასმედიის გაფართოებულ ფუნქციაზე. დემოკრატიულ სისტემებში სამოქალაქო საზოგადოებებისა და ტელემედიების ურთიერთთანამშრომლობის დადებითსა და უარყოფით ასპექტებზე, რომელიც ახალი მედიასისტემების საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტის შესწავლის აუცილებლობას აყენებს.

გეოპოლიტიკური ინტერესებისა და მსოფლიოზე ბატონობისთვის ტელემედიის საკომუნიკაციო ფუნქციის გამოყენებამ, ტრსანსნაციონალურ წრეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ერთპოლუსიანი სამყაროს“ შექმნისას შეიძინა. ევრაზიის გასაყარზე მყოფმ საქართველოს განსაკუთრებული ფუნქცია რუსეთ-დასავლეთს შორის გეოპოლიტიკური ბრძოლის პირობებში მიენიჭა. პოსტაბჭოთა რუსული ჯარის ნატოს

ჯარით ცანაცვლების თემამ ორივე სუპერსახელმწიფოსთვის სასიცოცხლო დატვირთვა შეიძინა. პოსტაბჭოთა სივრცის საქართველოს საზოგადოებრივ აზრზე პოლიტიკურმა ზემოქმედებამ საინფორმაციო ომის პოლიტიკურ ბრძოლაში ნომერ პირველი ადგილი დაიკავა. აქედან გამომდინარე, ქართულ საზოგადოებაზე პოლიტიკური ზემოქმედების ფუნქცია, სოლიდური დაფინასების სანაცვლოდ, სოციალიზაციის მთავარ აგენტს, ფსევდოლიბერალ ტელემედიებს გადაეცათ. თავში ვეყრდნობით ჩვენს ჰიპოთეზას, რომლის თანახმად, ლიბერალური ძალების მხარდამჭერი პოსტსაბჭოური ქართული ტელემედიათა ნაწილი, თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობს საზოგადოების სტრატიფიცირებას და გახლეჩას, რაც უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს მდგრადობაზე, აღმშენებლობასა და განვითარებაზე. ფსევდოლიბერალი ოპოზიციონერი მედიამფლობელის დაკვეთით, საზოგადოების მსოფლმხედველობის არასწორი ფორმირება ელექტორატზე ტელემედიებით ზემოქმედების ეჭვს ბადებს. საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციისთვის იღვწიან დღეს მსოფლიოს ტრანსნაციონალური კლანები. საბჭოეთის დაშლისა და ევროინტეგრაციის შემდეგ კი, ამ კლასტერით უკვე ლიბერალური ქართული ტელემედიათა უმეტესობა საქმიანობს.

III თავი. მასმედიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. 3.1. დასავლეთი თუ რუსეთი - საქართველოს ორიენტაციის პრობლემა ტელემედიაში. 3.2. დესტაბილიზაციის "საინფორმაციო უზრუნველყოფა". 3.3. არჩევნები და მასმედია.

მესამე თავში - „მასმედიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე“, განხილულია პოსტაბჭოთა ტელემედიის საქმიანობა, რითიც ის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებს. არაობიექტურ მედიაგერემოზე, რომლითაც ფერხდება საზოგადოების დემოკრატიზაცია და სოციალიზაცია. გაანალიზებულია ტელემედიების სახელმწიფოებრივი მშენებლობის უმნიშვენლოვანესი დანიშნულების ნაცვლად, საპირისპირო ფუქციონირების მიზეზები. გზები, რითიც პოსტაბჭოთა ტელემედიების ფუნქციონირება საქართველოს მასმედია მასმედიის დემოკრატიულ პრინციპებს ემიჯნება.

განხილულია ქართული ორიენტაციის საკითხი, რუსეთ-დასავლეთის დილემის არსებულ ჭრილში. ეს საკითხი ქართული სახელმწიფოს დღის წესრიგში საბჭოეთის დაშლითა და

ევროინტეგრაციით დადგა. მსოფლიოს დემოკრატიზაციის პროცესს პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში „უსისხლო, მშვიდობიანი რევოლუციები" მოჰყვა. საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ევროინტეგრაციის პროცესი „ფერადი რევოლუციებითა" და ლიბერალური ელიტების მოსვლით დასრულდა. ლიბერალური ელიტების მმართვის სადავეებთან მოყვანაში მნიშვნელოვანი როლი ტელემედიებმა შეასრულეს.

დისერტაციის თავარი საკვლევი თემა პოსტაბჭოთა მედიების პოლიტიკურ პროცესებზე გავლენაა. აღნიშნულ თავშიც იგი განხილულია, როგორც არჩევნების გაყალბების საბაბით წარმოებული „ტელე-რევოლუციების" მთავარი მამოძრავებელი ინსტიტუცია, რომელსაც ელექტორატზე პოლიტიკური ზემოქმედების გზით, სახელმწიფო გადატრალების პროვოცირება შეუძლია. მოყვანილია ფაქტებიდან, სჩანს, რომ ფსევდოლიბერალური ტელემედიები წარმატებით მონაწილეობენ პოსტაბჭოთა საქართველოში პოლიტიკურ სტანდარტად ქცეულ, უცხოეთში დაწერილი სცენარებითა და ფულით განხორციელებულ პოლიტიკურ ცვლილებებში. გლობალისტური პოლიტიკის რეალიზაციისთვის კი, საარჩევნო პროცესისას ტელემედიები ელექტორატზე რუსული ოკუპაციის თემით მანიპულირებენ. აგვისტოს ომის შემდეგ, ეს თემა ლიბერალური ტელემედიების დღის წესრიგადაც იქცა. ქართული ორიენტაციის პრობლემის განხილვისას, გავაანალიზეთ მსოფლიოს მოწყობის ფუკუიამასა და ჰანტინგტონის ურთიერთსაპირისპირო მოდელი. ლიბერალიზმის აპოლოგეტ ფუკუიამას დემოკრატიის მმართველობის დასავლური მოდელი მსოფლიოს მმართველობის საბოლოო ფორმად მიიჩნია.

კონფლიქტს, ჰანტინგტონი დასავლური ცივილიზაციის კონფლიქტებით ხსნის და წინა პლანზე დასავლეთთან დაპირისპირებას წევს. მიზეზად, დასავლეთისგან სხვა ცივილიზაციებისთვის მისთვის აღიარებული ფუნდამენტური ღირებულებების დამკვიდრებას ასახელებს. ცდილობს. ავღნიშავთ, რომ ამგვარმა მცდელობამ, საქართველოს მსგავსი ტრადიციული ერი-სახელმწიფოების უარყოფითი საპასუხო რეაქციაც გამოიწვია.

ქართული სახელმწიფოს ორიენტაციის პრობლემას, წარმოდგენილ თავში ჰანტინგტონის თვალთახედვით ვუდგებით. დასავლეთის პრობლემების სათავეს ავტორიც ცივილიზაციათა კულტურებისა და ღირებულებითი სისტემების დაპირისპირებაში ხედავს. ჰანტინგტონის

მოსაზრებას ეხმიანება მარშალ მაკ-კლუენისა და აბრაამ მოლის „კომუნიკაციის კულტუროლოგიური თეორიაც". იგივე პრობლემას, თავსმოხვეული ღირებულებების სახით, ვაწყდებით საქართველოშიც. რის გამო, ტერიტორიული მთლიანობის გასაღებს, ოკუპაციის მიუხედავად, საზოგადოების დიდ ნაწილი რუსეთთან მოლაპარაკებების აუცილებლობაში ხედავს.

ავღნიშნავთ, რომ საქართველოს ტრადიციულ ღირებულებებთან პროპაგანდისტური და „საინფორმაციო ომის" წარმოებისას, ტელემედიების მიერ იღვევა ყველანაირი მორალური შეზღუდვები და ნორმები. ჰაროლდ ლასუელის პროპაგანდის თეორიის მიხედვით, პროპაგანდისას არ მოქმედებს „თეთრისა და შავის" (სიკეთისა და ბოროტების) ეთიკური ნორმებით ჟურნალისტური საქმიანობის შეფასება. სწორედ ეთიკურსა და მორალურ ნორმებს აცდენილ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევიან ფსევდოიბერალი ტელევიზიებიც. „საინფორმაციო ომით" უზრუნველყოფილი დესტაბილიზაცია ტელემედიების მიერ, დამკვეთის ინტერესებით მიმდინარეობს. რაც ტელეარხის მფლობელისა და დამკვეთის პოლიტიკურ მხარდაჭერაში გამოიხატება. მიზანს, დესტაბილიზაციის დამკვეთისთვის საჭირო ინფორმაციის გაშვება და ამა თუ იმ საკითხისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა წარმოადგენს. ეს პრინციპი, ტელემედიების მიერ ფსევდოლიბერალური ღირებულებების „ევროპულად აღიარებასა" და „ნატოს" წევრი ქვეყნებისგან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროპაგანდაში გამოიხატება.

ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ლიბერალური ტელემედიის დიდი ნაწილი, დესტაბილიზაციისა და დეზინფორმაციის „საინფორმაციო უზრუნველყოფის" მექანიზმად ჩამოყალიბდა. ლიბერალური ფრთისა და გლობალისტური ძალების პოლიტიკური ინტერესების პროპაგანდით, ლიბერალური მედიამაუწყებლები ქართულ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, პერმანენტული დესტაბილიზაციის რეჟიმში ამყოფებენ**.** ამავე დროს, როგორც საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კომუნიკატორსა და სოციალურ აგენტს, ტელემედიას, ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის ფონის შექმნაც ხელეწიფება.

მოცემულ თავში გაანალიზებულია თანამედროვე გლობალისტურ სამყაროში მიმდინარე მსოფლიოს გადანაწილების პროცესის მექანიზმი. რაც ხელისუფლების ცვლილებების ადრე

არსებულ შეიარაღებული გადატრიალებების პრაქტიკის, საარჩევნო პროცესების გამოყენებით ტელემედიებით განხორციელებული იდეოლოგიურ ცვლილებებში გამოიხატა. მთავარ კატალიზატორად კი ფსევდლიბერალური ტელემედიები იქცნენ.

ლიბერალური პლატფორმის ქართული ტელემედიის როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას საარჩევნო პროცესში იძენს. ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების ცვლილების ცვლილება იგეგმება, კოორდინირებულად საქმიანობენ გრანტებსა და ოპოზიციური ელიტის დაფინანსებაზე მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციები და ტელემედიები. ფუნქციონირებას იწყებს ახალი და ძლიერდება არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები. უცხო ქვეყნებში ტრენინგებზე გავლილი ტექნოლოგიებს პოლიტიკური ზემოქმედების ხერხებად და ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციაზე ზეგავლენისა და რეჟიმის შესაცვლელად იყენებენ ტელემედიები.

საარჩევნო პროცესში, ლიბერალური ტელემედიების საინფორმაციო საშუალებებით, დღეში რამდენჯერმე შუქდება რეიტინგული სააგენტოების „ეგზიტპოლები" და კვლევები. ანონსდება ისინი ლიბერალურად ლოიალური კანდიდატის გამარჯვება. კანდიდატის დამარცხების შემთხვევაში, (ა/ო სექტორისა და ლიბერალური ტელემედიებისგან შემდგარი) ადგილობრივი და უცხოელი დამკვირვებლების მონაცემებზე დაყრდნობით საჩივრდება არჩევნების შედეგები. მოქმედებენ საერთაშორისო ფონდებით დაფინანსებული დასავლეთის „დამოუკიდებელი" დამკვირვებლებიც. ლიბერალური ტელემედიებით ატეხილი მედია სკანდალი, ფართოდ შუქდება დასავლეთის მეინსტრიმულ და ლიბერალურ ტელემედიებსა და პრესაში. არჩევნების გაყალბებაზე აპელირებით, ტელემედიებით კეთდება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოწოდებები. საერთაშორისო ზეწოლის შიშით, ხელისუფლება აღიარებს არჩევნების შედეგებს. ძალაუფლებას კი, ლიბერალურ ელიტას უთმობს.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ლიბერალური ტელემედიების დახმარებით განხორციელებული „ფერადი რევოლუციების" სქემაში, საბჭოეთის დაშლის შემდგომ, დიდ როლს საერთაშორისო კაპიტალის მონაწილეობა ასრულებს. ქვეყანაში სხვადასხვა დახმარების სახით შემოსული ტრანსნაციონალური კაპიტალი, კორუფციულ სქემაში აქცევს ბიზნესმენებს, დაინტერესებულ ელიტას, ლიბერალურ ტელემედიებს და წინა ხელისუფლებიდან

პორტირებულ ჩინოვნიკებს. სოლიდური გრანტებით ფინანსდება ჟურნალისტთა კორპუსი და ახალგაზრდული ფრთისგან შექმნილი „სამოქალაქო სექტორიც".

ახალგაზრდების სოციალური აქტივობის გასაზრდელად, მათთან ცალკე მუშაობა მიმდინარეობს. ლიდერების გამოსავლენად იზრდება არასამთავრობო ფონდებით გრანტების მიღების შესაძლებლობაც. მეთოდი, განსაკუთრებით, რეგიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდების დასაინტერესებლად გამოიყენება. „ფერადი რევოლუციებით" დემოკრატიის ხელშეწყობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების ფონდი, "U.S. Agency for International Development – USAID". დეკლარირებულად ის მსოფლიოში დემოკრატიული რეჟიმების კონსოლიდაციასა და გავრცელებაზეა ორიენტირებული. ასევე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, საბაზრო ეკონომიკის განვითარებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაზე

წინასაარჩევნოდ, ტელემედიები პედალირებას სოციალურ პრობლემებზე ახდენენ. რისთვისაც, ისინი ინფორმაციის მოდელირებას, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლისა და ზეწოლის არსებული ფაქტების დაფიქსირებას ახდენენ. არჩევნების გაყალბება იქცა, პოსტსაბჭოთა უკრაინის, ყირგიზეთისა და საქართველოს „ფერადი რევოლუციების" მიზეზად. მმართველი რეჟიმის მიმართ ანტაგონისტური განწყობების შექმნას ხელი შეუწყო ტელემედიით, ჟურნალისტ ღონღაძისა და სანაიას სკანდალური მკვლელობების გაშუქებამ. ხელისუფლების გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, რევანშისტულმა ოპოზიციამ, 2021 წელს " TV-პირველის" ოპერატორის სიკვდილის გამოყენებაც სცადა.

ჩაუტარებელი არჩევნების გაყალბებულად გამოცხადებას ტელემედიები წინასაარჩევნო პერიოდში იწყებენ. არჩევნების გაყალბებისა და ხელისუფლების წაგების პროგნოზის პარალელურად, ტელეგამოსვლებით ხმოვანდება გადაუმოწმებელი ბრალდებები. ყოველდღიურად ფიქსირდება ლიბერალური ელიტის გამარჯვების პრგნოზი. ასევე ხელისუფლების არჩევნებში წაგებისა და გაყალბების ალბათობა. ტენდენციურად შუქდება ლიბერალთა ლობისტი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ეგზიტპოლებისა და წინასწარი გამოკითხვების შედეგები.

ფსევდოლიბერალური ტელემედიები საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას პირდაპირი სიცრუისა და პოლიტიკური „დღის წესრიგის" დადგენითა და სინამდვილის გადაფარვით ახდენენ. უბნებზე დამკვირვებლად განაწილებული ტელემეიებისა და ა/ო სექტორის დამკვირვებლები, საერთაშორისო კოლეგებთან ერთად გაყალბების ფაქტებს ლობისტ ორგანზიაციებს უგზავნიან. ფიქსირდება არჩევნების გაყალბება და ხელისუფლება ლიბერალური ელიტით იცვლება.

წინამდებარე თავში აღნიშნულია საქართველოს, უკრაინასა და ყირგიზეთის რევოლუციების ანალოგიური ხასიათი და პროცესებში ჩართული ტელემედიების აქტივობა. სამივე ამ ქვეყნის ლიბერალური პოზიციონირების ტელეინსტურქტაჟის ფონზე მიმდინარეობდა. სამივე პოსტსაბჭოთა ქვეყანაში გლობალისტების ეგიდით დაწყებული „ახალი მსოფლიო წესრიგის" პროცესით და მათივე ფონდებით დაფინანსებული ე.წ. ტელერევოლუციებით დაგვირგვინდა. რევოლუციების მთავარ ამოცანას პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, გლობალისტთა გეოპოლიტიკური ინტერესებისადმი ლოიალური ელიტების მოყვანა წარმოადგენდა. ტელევიზიების მიერ არჩევნების გაყალბების ტრანსლირებით დაწყებული საპროტესტო აქციებს და სახელმწიფო გადატრიალებას - ყირგიზეთის, უკრაინასა და საქართველოს მოსახლეობამ პირდაპირი ეთერით ადევნა თვალი.

ენდრიუ ჰეივუდის აღნიშნვით, "მასმედია, უბრალო კომუნიკაციის საშუალება კი არა, არამედ, თავად პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც არა მარტო ასახავს, გავლენასაც ახდენს მთლიანად საზოგადოებაში ძალთა გადანაწილებაზე". ჰეივუდი, ასევე ამერიკელი მეცნიერის, ნოამ ჰომსკის მიერ დასახელებულ მასმედიის სამ პოლიტიკურ ბერკეტზე საუბრობს. ესენია: ა) გაბატონებული იდეოლოგიური მოდელი, რომელშიც ჰეივუდი მედიამფლობელთა ბიზნეს ინტერესებს, რეკლამის დამკვეთთა, სპონსორთა, ხელისუფლების წარმომადგენელთა და საქმიანი წრეების ლობისტთა ინტერესებსა და ჟურნალისტების მიმართ, სავარაუდო მუქარას და წნეხს მოიაზრებს. ხაზს უსვამს საბაზრო კონკურენციისა და სამომხმარებლო კაპიტალიზმის უპირატესობას. ბ) მეორე - მაკონტროლებელზე მიმართული მზა პროდუქციის მორჩილი ელიტის მოდელია, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური სიმპათია აქვს. თუმცა, ეს მოდელი მედიაში პროფესიონალების მიმართ არსებულ წნეხს ვერ ითვალისწინებს. გ) მესამე - მომხმარებლის სურვილზე ორიენტირებული, ბიზნესსა და ბაზარზე ადგილის

შენარჩუნებაზე ორიენტირებული მოდელია. მოდელებიდან პირველს, გლობალისტთა ფსევდოლიბერალური პოლიტიკით ქართული ტელემასმედიის მუშაობა ითვალისწინებს. მეორე - სავარაუდოდ, სახელისუფლებო ელიტის მომხრე მედია მოდელია. მესამე კი - რეკლამების დაფინანსებაზე და პოლიტიკურ დაკვეთებზე ორიენტირებული ლიბერალური მედიის მოდელს ეხება.

წინასაარჩევნოდ და არჩევნებისას ტელემედიებით წარმოდგენილი ტელედებატებიც, ტელევიზიების მიერ პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების მექანიზმია. რისი საშუალებითაც, ტელემედია, საარჩევნო პროცესის აქტიური მონაწილე ხდება და პოლიტიკური ტექნოლოგიებით, ზოგჯერ არჩევნების ბედსაც საზღვრავს. საარჩევნო პროცესებზე ლიბერალური ტელემედიების გავლენის მაგალითებს ვხედავდით პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩატარებული 2000, 2002 და 2003 წლების საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში და ასევე, ყველა მომდევნო არჩევნების დროსაც.

დასკვნა

საბჭოთა კავშირის რღვევამ, ევროინტეგრაციამ და დემოკრატიზაციის პროცესმა ნათელი მოჰფინა გლობალისტური ძალების მიერ „ახალი მსოფლიო წესრიგის" მოსამზადებელ გეგმას. ნიადაგი, პოსტსაბჭოთა ქვეყნების შიდა გავლენის აგენტების ხელით, თხუთმეტივე რესპუბლიკის ეკონომიკების, ინფრასტრუქტურების და არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლით მომზადდა. დემოკრატიზაციამ ტრანსნაციონალურ ფინანსურ კლანებს მესამე სამყაროს ქვეყნებში დახმარებების სახით, საკუთარი კაპიტალის შეტანისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების სხვადასხვა სტრუქტურების დაფინანსების შესაძლებლობა მისცა. რამაც, საქართველოც გლობალისტური ელიტებისადმი ფინანსურად ანგარიშვალდებული გახადა. „ფერადი რევოლუციებით" პოსტსაბჭოთა სივრცე, გლობალისტების შეთავაზებულ „ამერიკული დემოკრატიის" მოდელზე იქნა გადაყვანილი. ხელისუფლებებში კი, გლობალისტებისადმი ლოიალური ელიტები მოვიდნენ, რომლებმაც ევროინტეგრაციის საქართველოს ვალდებულებაზე პასუხისმგებლობაც იკისრეს.

ევროინტეგრაციამ, ახალი მოთხოვნები მასმედიასაც წაუყენა. წამყვანი როლი კი, სოციალიზაციის მთავარ აგენტს, ტელემედიას დააკისრა. ტელემედიებს კომუნიკაციის მანამდე უცნობ, დასავლურ თეორიებზეც გაუადვილდათ წვდომა. მასმედიის დასავლური თეორიული მოდელების ქართული ტელემედიების საქმიანობასთან შედარებამ წარმოაჩინა, რომ ახალი ტიპის ქართულ ტელემედიებს, განსაკუთრებული გავლენა აქვთ საქართველოს შიდა პოლიტიკურსა და დემოკრატიზაციის პროცესებზე. „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დეკლარაციაზე"[25] აპელირებით კი, საქართველოში ახალი ტიპის გლობალისტური კლასტერის ფსევდოლიბერალურ პოლიტიკური ტელემედიები ჩამოყალიბდნენ.

სადისერტაციო კვლევისთვის, „ტელემედიის გავლენა პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე", უპირველესად, პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის შესახებ კომუნიკაციის კლასიკურ თეორიებს მივმართეთ. ვინაიდან, როგორც თეორიული, ისევე ემპირიული, პრაქტიკული გააზრების გარეშე შეუძლებელია ამ ფენომენის ფუნდამენტური შესწავლა და იმ მექანიზმების და საერთო კანონზომიერების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფენ პოსტსაბჭოთა საზოგადოების სოციალიზაციას და სახელმწიფოს აღმშენებლობით პროცესს. ეს პროცესი კი, მეტად მნიშვნელოვანია, როგორც პოსტსაბჭოთა საქართველოს ახალი დემოკრატიისათვის, ისე საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ევროინტეგრაციის პროცესში საზოგადოების ადაპტაციისთვის, რომელშიც უმნიშვნელოვანეს როლს, სოციალიზაციის მთავარი აგენტი, ტელემედიები ასრულებენ.

თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში არსებული, კომუნიკაციის სისტემების კლასიფიკაციისა და ტრადიციის შესაბამისად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტელემედიები ავტორიტარული მოდელის ტელემედია საშუალებებს მიეკუთვნებიან და მეტნაკლებად იდენტური ნიშნებით ხასიათდებიან. განსაკუთრებით, ისეთ საკითხებში, როგორიცაა ელექტორატზე პოლიტიკური ზემოქმედება და ევროინტეგრაციის პროცესში საზოგადოების სოციალიზაცია. დასავლურ ქვეყნებს მედიის დემოკრატიულად ფუნქციონირების ბევრად მეტი გამოცდილება აქვთ. ევროინტეგრაციისა და დეკლარირებული დემოკრატიის და პლურალიზმის[26] მიუხედავად, პოსტსაბჭოთა საქართველოს ტელემედიები, მუშაობის სრულიად

განსხვავებულ ფორმატზე გადავიდნენ. ავტორიტარულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემებს შორის განსხვავების მიუხედავად, მათ საქმიანობაში შეინიშნება, როგორც ავტორიტარული, ისე ლიბერტარიანული მედიის მუშაობის ნიშნები, რაც, პოსტსაბჭოთა ქართული ტელემედიის ჩამოუყალიბებლობაზე მეტყველებს. ტელემედიაში ადამიანები საქმიანობენ. ის თავის მხრივ სუბიექტური არსებაა, რის გამოც, გარკვეულ მოვლენებს მისი თვალთახედვიდან აშუქებს. თუმცა, სუბიექტის მორალისა და ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარე, ჟურნალისტიც უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ მორალსა და წესებს. ჟურნალისტიკასა და მედიაში ჟურნალისტური ობიექტურობის პრობლემების არსებობაზე მეტყველებს დემოკრატიულ დასავლეთშივე აღმოცენებული მედიის ფუნქციონირების „სოციალური სამართლიანობის თეორია“, უოლტერ უილიამსის 100 ენაზე თარგმნილი ჟურნალისტური ეთიკის კრედოც. „ჟურნალისტის პროფესიული მორალის ცნებაც, ზნეობის საზოგადოდ მიღებული სტანდარტების გათვალისწინებას გულისხმობს. ჟურნალისტთა ერთობა, კავშირი, ან გაერთიანება საზოგადოებრივად სასარგებლო ქმედებაზეა ორიენტირებული. რის გამოც, მასმედიის თანამშრომელთა პროფესიული დამოკიდებულება მასმედიის თანამშრომელთა ქცევასაც უნდა არეგულირებდეს“.

თანამედროვე ჟურნალისტი ახალი საერთაშორისო ურთიერთობების და საინფორმაციო წესრიგის პირობებში საქმიანობს. ის, როგორც ახალი ეკონომიკური წესრიგის ნაწილი, ორიენტირებულია საინფორმაციო სფეროს დემოკრატიზაციასა და კომუნიკაციაზე, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზეც. ახალი მოწყობის საფუძვლად მიჩნეულია ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობა და მათი კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემა. აქედან გამომდინარე, თეორიულ გადახედვას მით უფრო საჭიროებს ახალგაზრდა დემოკრატიის საქართველოს ახალი ტელემედიები. სოციალური სამართლიანობის თეორიების მაგალითზე, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მათზე განვაზოგადოთ მასმედიის მუშაობის ის პრინციპები, რომლებიც ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის პირობებში მუშაობს.

ფსევდოლიბერალური იდეების პროპაგანდითა და განსხვავებული აზრის მედიაბულინგით, პოსტსაბჭოთა ქართული ტელემედიების საქმიანობა ავტორიტარულ მოდელს უტოლდება. „ადამიანის შეურაცხმყოფელი ფაქტებისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელებაზე

შეუზღუდაობით” კი, ლიბერტარიანულისა და ტოტალიტარულის შუალედურ პოზიციას იკავებს.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებლად მივიჩნიეთ პირველ ეტაპზე შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა საერთო თეორიული პარადიგმები, რაც დაგვეხმარა ღრმად შეგვესწავლა მასმედიის ფენომენი, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიული და ტრადიციული ეტაპები. მისი ფორმირების მექანიზმები და ამის საფუძველზე მოგვეხდინა მიღებული ცოდნის ოპერაციონალიზაცია. თეორიულმა ბაზამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა საერთო კანონზომიერებები და მათი ფუნქციონირების პირობები.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების დღიდან, საქართველოს ყველა სფერომ და ინსტიტუციამ, მათ შორის ტელემედიამაც, ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, როგორც ღირებულებითი და ორიენტაციის, ისე ხარისხობრივი მახასიათებლების თვალსაზრისითაც. რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მათ ტიპოლოგიზაციასა და ელექტორატზე პოლიტიკური ზეგავლენით ხელისუფლების ცვლილებაზე.

ქართულ სინამდვილეში, ტელემედიების ტრანსფორმაციის მექანიზმების შესწავლამ ნათლად გამოავლინა მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც ევროინტეგრაციის პროცესში მყოფ პოსტსაბჭოთა ქართულ ტელემედიებს ახასიათებთ. კერძოდ, ტელემედიებით მხარდაჭერილი ფსევდოლიბერალური პოზიციონირების რევანშისტული ელიტების ინტერესი; განათლებისა და პროფესიონალიზმის დაბალი ხარისხი და საშუალო დონის ობივატელზე ორიენტირება; ქართულ სინამდვილეში სოციუმის კონკრეტულ პოლიტიკურ ფიგურაზე ორიენტირების მაღალი ხარისხი; ტელემედიების მფლობელ ფსევდოლიბერალი ელიტების მიერ, მაუწყებლობის გლობალისტური ელიტის ღირებულებებითი ნორმების დასანერგად გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოების დაბალი ფენის კონკრეტულ ნაწილზე ორიენტირებამ, მფლობელთა პოლიტიკური დაინტერესება გამოავლინა. მედიასივრცეში ფუნქციონირებადი ოთხი ქართული ფსევდოლიბერალური ტელემედიის უკან, რევანშისტული ელიტის მობილიზებული ფინანსებით, ყოფილი ელიტების ხელისუფლებაში

დაბრუნების მიზნები იკვეთება, რაც, საკუთრებაში არსებული ტელემედიებით დადგენილ პოლიტიკურ და სოციალურ დღის წესრიგში გამოიხატება. ტელემედიების ასეთი საქმიანობა ეწინააღმდეგება დემოკრატიული ტელემედიების საქმიანობის პრინციპს, აფერხებს დემოკრატიულ სისტემაში საზოგადოების ინტეგრაციის პროცესს.

დიფერენცირებისას გამოყოფილ იქნა კომუნიკაციის შემდეგი თეორიები: ჰაროლდ ლასუელის კომუნიკაციის ხუთკითხვიანი მოდელი და პროდასავლური, კოსმოპოლიტურ-გლობალისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდის თეორიები. ნოელ ნოიმანის „დუმილის თეორია". ლაზარსფელდის, გოდეს და ბერელსონის „ორმხრივი კომუნიკაციის" მოდელი. კურტ ლევინის „საინფორმაციო ბარიერების თეორია", დღის წესრიგის დადგენის თეორია. საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით, ეს თეორიები ჩვეული ლიბერალური იდეოლოგიური პარადიგმებითა და კოსმოპოლიტურ-გლობალისტური აზროვნებით გამოირჩევა.

კომუნიკაციაზე არსებული მრავალრიცხოვანი თეორიული მოსაზრებებისა და პოზიციების შეჯერების საფუძველზე გავაკეთეთ დასკვნა, რომ ლიბერალური ტელემედიების ფუნქციონირება არა დემოკრატიულმა, არამედ, მსოფლიოში მიმდინარე გლობალისტურმა პროცესებმა და სოციალური ინჟინერიის ტექნოლოგიებმა განსაზღვრეს. ჩვენი ჰიპოთეზით, ქართული ტელემედიების მუშაობა, კომუნიკაციის დასავლურ თეორიებზე დამყარებულ, პრაქტიკულ საქმიანობას წარმოადგენს, რაც, არა დემოკრატიზაციის ხელშესაწყობად, არამედ საზოგადოებაზე პოლიტიკური ზემოქმედებისა და არჩევნების გაყალბების დაფიქსირებით, გლობალისტთა პოლიტიკისადმი ლოიალური ელიტის ხელისუფლებაში მოყვანას ემსახურება.

ასევე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოსტსაბჭოთა ქართული ტელემედიების მუშაობამ, დემოკრატიულ პროცესებში საზოგადოების სოციალიზაცია და ინტეგრაცია, მიზეზთა გამო, ვერ უზრუნველყო, რისი სათავეც, უკონტროლო საინფორმაციო ნაკადების მრავალფეროვნებაში, ინფორმაციული მოცულობის ზრდასა და ტელემედიების კომერციალიზაციაში უნდა ვეძიოთ. საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის მოთხოვნით, ტელევიზიების კერძო მფლობელობაში გადასვლამ, ტელეჟურნალისტის საქმიანობა

მედიამფლობელთა ინტერესზე დამოკიდებული გახადა. რა მიზეზითაც, ასეთმა ტელემედიებმა ვერ უზრუნველყვეს თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი. ვინაიდან, დესტრუქტივიზმზე ორიენტირებული და ლიბერალური ელიტებით მართული ქართული ტელემედიები გამართული პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებას, საბოტაჟის რეჟიმს უპირისპირებენ. აღნიშნული პრობლემა პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბების ხელის შემშლელ ფაქტორად იქცა. მრავლად აღმოცენებული კერძო ტელეკომპანიების უკან კი, უკვე დაუფარავად მოიაზრება რევანშისტული ელიტების კაპიტალი, რაც დამფინანსებლის ინტერესით მომუშავე ტელემედიების ობიექტურობასაც და დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკასაც გამორიცხავს.

ევროინტეგრაციის პროცესით პოსტსაბჭოთა ტელემედიის ავტორიტარული საქმიანობა, დემოკრატიულს უნდა ჩაენაცვლებინა და შეცვლილიყო ტელემედიების სტრუქტურა და მუშაობის სტილი. მოხდა პირიქით - დემოკრატიულად გამოცხადებული ქართული ლიბერალური ტელემედიები, გამოკვეთილად ფსევდოლიბერალურ გლობალისტურ კლასტერზე გადავიდნენ და ლიბერტარიანულ-ტოტალიტარულ ტელემედიებად ჩამოყალიბდნენ. გლობალისტურ საინფორმაციო ტრენდზე გადასვლით, ლიბერალურმა ქართულმა ტელემედიამ და ჟურნალისტიკამ, რეალურად, „მედიადიქტატურის" სახე შეიძინა, სადაც იდევნება განსხვავებული აზრი და პოლიტიკური შეხედულება, წარმოებს მედიაბულინგი. ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის მხარდასაჭერად კი, აშკარა სიცრუის ტირაჟირებაც წარმოებს. ფსევდოდემოკრატიული ტელემედიების გლობალისტური კლასტერით საქმიანობამ და პოლიტიკამ ტელეჟურნალისტიკის რეალური ფუნქციები და არსი შეცვალა. რის გამოც, პოსტსაბჭოთა ტელემედიას დემოკრატიულს ვერ ვუწოდებთ. დღეს ის ჩამოყალიბების პროცესშია. ამის გამო, ევროინტეგრაციის ქართული ტელეჟურნალისტიკაც ახლებურ თეორიულ გააზრებას მოითხოვს.

ლიბერტარიანულ მოდელთან აშკარა სიახლოვის მიუხედავად, ქართული ტელემედიები არ ითვალისწინებენ ლიბერტარიანული თეორიით მუშაობის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს, „პიროვნების რეპუტაციისა და უღირსი მასალის გავრცელებაზე შეზღუდვებს". ამ პრინციპის დაუცველობით, ქართული ტელემედიები ლიბერტარიანულთან

წინააღმდეგობაში მოდიან და აჭარბებენ კიდეც მას. ვინაიდან, განსხვავებული აზრის მედიაბულინგითა და ფსევდოლიბერალური იდეების პროპაგანდით, ქართული ლიბერალური ტელემედიები ტოტალიტარულისა და ლიბერტარიანულის სინთეზის, ყველაზე უარეს ვარიანტად ჩამოყალიბდა.

ქართული ტელემედიის რეალური დემოკრატიზაციისთვის მიზანშეწონილი იქნება ყველა არსებული ტელემედიის საქმიანობის კონკრეტული მოდელის დაფიქსირება. ამის დაუფიქსირებლად ირღვევა ტელემედიის მუშაობის დემოკრატიული პრინციპები: ა) მედია დამოუკიდებლობა, საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესი, სამართლიან სოციალურ გარემოში მისი ინტეგრაციისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების მოთხოვნები. ბ) ქართული ტელემედიებით ცენზურაგავლილი და დაბლოკილი ეროვნული პოლიტიკა საზოგადოებას, დამოუკიდებელი არჩევანის შესაძლებლობას უკარგავს; გ) ლიბერალური ტელემედიების სარედაქციო კოლექტივების არაპროფესიონალურობა, ფინანსური დაინტერესება და გლობალისტური იდეოლოგიის მხარდაჭერა საქართველოში, პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოუყალიბებლობის სათავე ხდება; დ) სახელმწიფოს განვითარებისა და მართვის ცალსახად ლიბერალური ფორმების ტელეპროპაგანდით ტელემედიებს, სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივზე მეტად, აქცენტი ლიბერალური ელიტის ინტერესებზე გადააქვს.

ლიბერალურ ტელემედიაზე გამოთქმული ექსპერტთა მსჯელობები, განცხადებები და დისკურსები, სწორად შერჩეული ფაქტების გაანალიზებას და სისტემატიზაციას მოითხოვს. ყურადღებას, უპირველესად, აუდიტორიის ფასეულობების, იდეალებისა და მისწრაფებების გაშუქება ითხოვს. ახალი ტექნოლოგიების ათვისება, ტელევიზიის თანამშრომელთა გადაკვალიფიცირებას, სარედაქციო პოლიტიკისა და სიუჟეტების მომზადება კი - სათანადო განათლებასა და პროფესიულ ჟურნალისტურ საქმიანობას საჭიროებს. ქართულ ლიბერალურ ტელეჟურნალისტიკაში, ამ ყველაფრის ნაკლებობა აღინიშნება. კომერციულ მოგებაზე აწყობილი ტელეგადაცემები და რევანშისტული ელიტის დაფინანსებაზე ორიენტირებული საქმიანობა, ქართულ ლიბერალურ ტელემედიებს პოლიტიზებულ, კრიმინალურ და გასართობ თემებზე გადასვლისკენ

უბიძგებს, რაც, სულ უფრო მეტად შეიცავს მაყურებლის ფსიქიკური, ზნეობრივი, ჯანმრთელობისა და ეთიკური ნორმების დარღვევების ნიშნებს.

ევროინტეგრაციის ქართული ტელემედიების ფუნქციონირება რიგი ცვლილებების გატარებას და კომუნიკაციის ფორმების შესწავლას საჭიროებს. აუცილებელია პოსტსაბჭოურისა და დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ტელემედიების საქმიანობის კორელაცია ვინაიდან, ტელემედიების კერძო მფლობელთა უკან, დემოკრატიზაციის შემაფერხებელი რევანშისტული ძალები მოიაზრებიან. ტელემედიებით ტირაჟირებული პოლიტიკური რევანშიზმი კი, დამღუპველად მოქმედებს ევროინტეგრაციის პროცესზე და ქართულ სახელმწიფოებრიობაზე.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში, დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი და ერთი თემატრური სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოქვიუმი N1-„პოსტსაბჭოთა სივრიცის მასმედიის პოლიტიკური ტექნოლოგიები და მანიპულაციები, როგორც „ფერადოვანი რევოლუციების“ განხორციელების მექანიზმი.
2. კოლოქვიუმი N2-„მასმედიის როლი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში”.
3. კოლოქვიუმი N3-„ მასმედიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე“

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს
და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

1. პოსტსაბჭოთა საქართველოს მასმედის საზოგადოებით მანიპულაცია და “დემოკრატიული ლიბერალიზმი“.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი
გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „მასობრივი კომუნიკაციის დასავლური თეორიები პოსტსაბჭოთა ქართულ ტელემედიაში.“ რეფერირებადი საერთაშოსრიო სამეცნიერო ჟურნალი „პოლიტო/LOGOS” , კავკასიის საერთაშორიოს უნივერისტეტი, გამოცემა N2 2021 წელი.

2. ქართული დემოკრატიის ისტორიული წინამძღვრები. The Historical Background to the Democracy of Modern Georgia. RS Global Journals https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30062022/7811. (ინგლისურ ენაზე) 2021 წელი.

3. „არჩევნები და კომუნიკაციის დასავლური თეორეიები ქართულ მედიაში.“ რეფერირებადი საერთაშოსრიო სამეცნიერო ჟურნალი „პოლიტო/LOGOS” , კავკასიის საერთაშორიოს უნივერისტეტი, გამოცემა N4 2022 წელი.

4. „დასავლეთი თუ რუსეთი- სახელმწიფო ორიენტაციის პრობლემა მასმედიაში“

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები. „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ელექტორსალური თავისებურებანი“-2021 წელი.
2. ონლაინ კონფერენცია-“არჩევნები და ტექნოლოგებად ტრსანფორმირებული კომუნიკაციის თეორიები ქართულ ტელევიზიებში” .

Caucasus International University

Right of Authorship

LILI Amashukeli

The influence of mass media on post-Soviet political processes

Abstract dissertation Presented for the degree of Doctor of Political Science

Tbilisi,0141,Georgia
2023

Research Director:

Tamar Kiknadze

Doctor of Political Science
Caucasus International University Associate rofessor
Professor

Official reviewers:

Marine Lomidze

Doctor of Journalism, Professor of the Department of

Public Relations and Philosophy of the

Technical University of Georgia

Dato Tabatadze

Associate Professor of Caucasus International University

Defense of the thesis will take place on November 29, 2022, 14:00 pm, In the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social sciences.

Address: 0141, Tbilisi,Chargali Str.CIU, Building 1, Room 305.

Read the thesis is possible in the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board:

Petre Mamradze

Associate Professor of Caucasus International University

Annotation

Dissertation, "Influence of Mass Media on Post-Soviet Political Processes", consists of an introduction, three chapters, 9 subchapters and a conclusion. The list of used literature and appendices are attached to the paper.

The dissertation is dedicated to the process of transformation of post-Soviet Georgian television media after the collapse of the Soviet Union, which was manifested in the transformation of all spheres of its space after the collapse of the Soviet Union. Western theories of communication have become easier for telemedia. Ervointegration made democratic demands to the post-Soviet TV media as well. He handed over the levers of liberal policy to the newly created pseudo-liberal TV media. Democratization led to the diversity of television media and the emergence of uncontrolled information flows. Pedaling on "untouchability in journalistic activities" gave the pseudo-liberal TV media carte blanche to influence political processes.

The relevance of the research topic is discussed in the introduction; Prerequisites for formation and development of mass media and journalism. The aim of the research, the hypothesis of the work, the tasks, the object of the research, the subject, the state of the study of the topic, the theoretical and practical importance, the theoretical-methodological foundations, the theoretical framework are presented; Analysis of the activities of liberal Georgian TV media compared to Western theoretical models of communication, the opinion of post-Soviet researchers to reveal the analogy with post-Soviet TV media. The main results and scientific novelty of the work are established; The information base of the work is also presented.

In the first chapter - "Theoretical-methodological framework of influence of mass media on political processes", the democratic challenges faced by the Georgian TV media in the process of formation after the collapse of the Soviet Union are discussed. The process of emergence of different theories of communication and media in the democratic West. Which puts the necessity of creating similar theories before the Georgian liberal TV media of the young democracy. The issue of forming a democratic society necessary for European integration is discussed in the chapter. In this, the globalist world elite and mainstream TV media still maintain the leading position, against the background of current international political processes.

To determine the role of mass media as the main agent of socialization of society. the impact of Georgian TV media on the "information and consumer society"; Substitution of the functions necessary for the development of the society with mechanisms of political influence.

The process of forming theoretical ideas on communication and establishing its place in modern political science and examples of the use of western theories by liberal Georgian TV media are presented. It is about the political concepts of mass communication. On the theories that liberal TV media use for political construction of public consciousness. The opposite of democratic integration, on anti-state editorial policies, agenda-setting technologies of political influence on the electorate, and information filtering and political manipulation.

The second chapter - "The role of the media in the functioning of the democratic political system" refers to the role of the mass media in the democratization of the society and its adaptation to the international global space. Attention was paid to the description of the past experience and the process of forming political structures in Georgia. Germs of Georgian journalism, publicism and objective journalistic activity. It is also about the Georgian journalistic experience before the creation of the Soviet Union and the problem of free media in today's Georgia. The chapter talks about the expanded function of mass media in socializing with society in the conditions

of political transformation. On the positive and negative aspects of the mutual cooperation of civil societies and Televisions in democratic systems, which raises the need to study the theoretical-methodological aspect of the activity of new media systems.

The third chapter, "The influence of mass media on political processes", analyzes the Georgian state orientation, the dilemma between Russia and the West, which was put on the agenda of Georgian politics together with the country's accession to NATO. With this topic of Russian occupation, TV media manipulate public opinion. After the August war, the topic of occupation became the agenda of liberal TV media. When discussing the problem of Georgian orientation, we analyzed the opposing models of Fukuyama and Huntington's world arrangement. Fukuyamai an apologist for Western liberalism. Huntington of democracy sees the main cause of conflicts in Western civilization in the attempt to establish values unacceptable to other civilizations from the West. It is partially echoed by Abraham Mol's "cultural communication" theory.

We note that such an attempt by the West caused a negative response from traditional nation-states like Georgia. Because, we have reason to assume that despite the occupation, the key to territorial integrity is at least a large part of the society with Russia. This necessity is explained by cultural and religious proximity.

In the mentioned chapter, it is emphasized that the TV media are confronting the elites of the national platform with a pseudo-liberal narrative. In order to support the liberal elites in power, the TV media are ensuring destabilization in the country with the "war of information". "Information war" carried out by TV media on a strategic level against the society devalues the value systems of the Georgian society.

In the "information war" produced by the TV media, according to our hypothesis, the circulation of lies and the insulting of the opponent is produced. By providing falsified facts and one-sided information, pseudo-democratic Georgian TV media create the ground for socio-political destabilization in the country. Such a form of communication in telespace can be considered as the use of Kurt Lewin's "theory of information barriers". Which is manifested in the filtering, censorship and selectivity of news.

The main function of telemedia socialization with the public, which is used by the globalist forces and the opposition elite to control the changes of governments and the political orientation and course, is discussed.

Since the main topic of the study is the influence of the mass media on political processes, which means the political influence of the mass media on the electorate during the elections, in the chapter, we will also consider the mechanisms and technologies used by the mass media for the revolutionary processes of government wax.